F277 № 599

ბარრიკადი

პოეზია ესტეტიკა პოლიტიკა

№ 1 „ცისფერი ყანწების“ კვირეული გაზეთი 7 კ. ჩ.

მისამართი: თბილისი. ხელოვნების სასახლე. ივ. მაჩაბლის (ყოფ. სერგის) ქ. № 13.

კვირა, 6 იანვარი 1924 წ. მე-4 წელი გამოცემისა.

განცხადების ფასი: 1 გვ. 50 კ.—მე-4 გვ. 30 კ. ჩერვონეცით.

ბარრიკადის მეოთხე წელი

მეოთხე წელია რაც გამოდის გაზეთი „ბარრიკადი“ მართალია მას არ აქვს პერიოდული გამოცემის ხასიათი, მაგრამ ნამდვილად ის შეიქნა საქართველოში პირველ ლიტერატურულ გაზეთის პროტოტიპად ის რაც პირველად მარტო „ბარრიკადი“-ს (მიღწევა იყო, დღეს საერთოა ქართულ მწერლობისთვის, ჩვენ სიამოვნებით ავნიშნავთ ამ ფაქტს, და უფრო მოხარული ვიქნებით, თუ სხვა ჩვენი დაწყებებიც დაემყნობა ქართულ მწერლობას. „ბარრიკადი“ 1920 წელს გამოვიდა ტფილისში; მაშინ ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო შეუძლებელი იყო „ცისფერი ყანწები“-ს გამოცემა. ვიცოდით ესა რომ ეს მაშინ არ იყო „ყანწებით“-ს სავსებით გამომხატველი, ამიტომ ჩვენ შეგნებულად ვერიდებო- [illegible] და ყველა „ყანწელი“. ინახავდა პაფოსს „ცისკერი ყანწები“-ს შემდეგ გამოცემისთვის. ასეთივე არა სრული გამოხატვა ყანწების“ იდეოლოგიის ახასიათებს „მეოცნებე ნიამორებს“ რომელიც გამოდის ვალერიან გაფრინდაშვილის რედაქტორობით. დღემდე. ბევრი მოსაზრებები და მათ შორის ტეხნიკური დაბრკოლებებიც გვაიძულებს, რომ ჩვენ კიდევ განვაახლოთ „ბარიკადი“-ს გამოცემა: ესეც ერთგვარი სუროგატი იქნება, აქ არ იქნეს ის უკანასკნელი თქმა პოეზიაში რომელსაც ამზადებს „ცისფერი ყანწები“... მაგრამ საერთოდ იმდენად რამდენადაც ქართულ მწერლობა იძლევა შესაძლებლობას ჩვენ ვეცდებით ვიდგეთ მემარცხენე პოეზიის ფრონტზე. ამიტომ „ბარრიკადი“ არ იქნება შემორკალული მარტო ყანწელებით: ჩვენ დიდი სიამოვნებით მივსცემთ ადგილს ჩვენ გაზეთში ყველა იმ ახალ თუ ძველ მწერალს რომელიც გაიზიარებს ჩვენ შეხედულებას პოეზიაზე. აგრეთვე ყველაფერი რაც იქნება აღბეჭდილი ნიჭით და მიღწევით ადგილს დაიპყრობს ჩვენ გაზეთში.

მართალია მებრძოლი შკოლები პოეზიაში ყოველთვის გამოდიან მარტო მანიფესტებით, დეკლარაციებით და ფურცლებით, მართალია თუ „ბარრიკადმა“ მიიღო სისტემატიური ხასიათი ის ბევრს დაკარგავს ამ მხრივ, მაგრამ ჩვენ გვინდა გვქონდეს ჩვენი ტრიბუნა, ჩვენ გვინდა ველაპარაკოთ საქართველოს ახალ თაობას ჩვენ. გვინდა, რომ ჩვენი პრინციპები გახდენ საერთო მომავალ პოეზიისთვის: ამისთვის ჩვენ ვიწყებთ „ბარრიკადი“-ს გამოცემის განახლებას, განცხადებით, რომ ჩვენთან, ექნება ადგილი ყველა ძიებას და ყველაფერს რაც აღბეჭდილია ნიჭით და „ბარრიკადის“ გამოცემის მეოთხე წელს „ყანწების“ გამოცემის მერვე წელს ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს ახალ მწერლო- [illegible] ბისკენ... პოეზიის ბარრიკადები ყოველთვის მაგრად უნდა იყონ, ყოველი დღე პოეტის ბრძოლაა მეშჩანობის, კონსერვატორობის და სიძველის წინააღმდეგ ჩვენ გვგონია დღეს ბევრია დაცხრილული ამ ახალ წამებით და ტანჯვით და ბევრისთვის პოეზია ინახავს ახალ ლურსმებს... ამიტომ გვგონია ეს ხალხი ჩვენთან იქნება. თვითონ „ცისფერ ყანწები-“ს ჯგუფში, რომელნიც შვიდი წელია ერთად თანამშრომლობენ არ არის სრული ერთნაირობა აზრის, მათ შორისაც ხშირია ერთმანეთის დაშორება და ეს დავა გადატანილი იქნება „ბარრიკადი“-ს ფურცლებზე.

მაგრამ ყოველ ასეთ პოლემიკის დროს დაცული იქნება ის დისციპლინა, რომელმაც „ყანწებს“ გააძლებია აქამდეს...

თავისთავად ცხადია, რომ მწერლები ახალ მწერლობის კავშირიდან, რომელთანაც ჩვენ გვართებს სამი წელი ორგანიზაციული მუშაობისა და ძიებები პოეზიაში იქნებიან ჩვენი უახლოესი თანამშრომლები.

7 წელიწადი

7წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც პირველად დატრიალდა „ცისფერი ყანწების“ ქარიშხალი.

გამწევი ბრძოლა გრძელდება, მაგრამ შეჩერდა ხელჩართული ომი და მარნასთან ბრძოლა ჯერაც გადუხდელია.

უკანასკნელი წლეების დიპლომატობა, რომელსაც ჩვენ ასე შევეჩვიეთ უნდა დასრულდეს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ვისმეს ღალატი გვინდოდეს, ან ვცდილობდეთ რომელიმე ციხის შიგნიდან გატეხას.

გამოვტყდებით, რომ ჩვენში ჯერ კიდევ არ ჩამქვდარა ბრძოლის სურვილი, და ყოველ დღე მატულობს შეგნება მისი, რომ საჭიროა ახალი გზები, საჭიროა გამოცდა „მშვენიერ დღეების“.

ქართულ მწერლობაში დღეს სათნოების ხაზი იმარჯვებს. დაძმობილებამ ისეთი სახე მიიღო, რომ ცისფერ ყანწელებს არაფერი არ დარჩენიათ გარდა იმისა რომ სთქვან; „გავჩუმდეთ ძმებო“. ეს კი ნიშნავს არქივთან მიახლოვებას, ისტორიის დაწერას, რომანტიულ ფიქრს წარსულის აღტაცებულ დღეებზე, და ოხვრას იმაზე თუ რანი ვიყავით.

არ ყოფილა ცამეტ ყანწელებში არც ერთი, რომელსაც როდესმე მიეღოს ფორმულა, არც მარცხნივ, არც მარჯვნივ. ასეთი აზრი დღეს მარცხდება როგორც პოლიტიკაში, ისე რა თქმა უნდა ხელოვნებაშიაც.

მარცხენა ფრონტზე დგომა, შეგნებულ და ჭკვიან ხალხისათვის, ყოველთვის ნიშნავს ახალის ძიებას.

მემარხცენეობა მაშინ, როდესაც ცენტრად აღიარებულია მხოლოდ თანამედროვე ქართული პოეზია—ეს არ არის მაინცა და მაინც დიდი დამსახურება. მთელი ჩვენი 7 წლის ისტორია იმას ამტკიცებს, რომ ჩვენ არ შეგვიკლავს თავი იმ პოზიციისთვის, რომელსაც ჩვენი დროის ქართული მწერლობა ეწოდება.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ყოველთვის დაინტერესებული ვიყავით, იმ ურთი ერთობით, რომელიც უნდა დამყარებულიყო ჩვენსა, და ქართულ მწერლობის შორის. მაგრამ ყველასთვის აშკარაა, რომ სამშობლოში, ჩვენ ვერ ვიპოვეთ საწინააღმდეგო იდეოლოგია, და თუ კამათი მაინც იყო, ის იმდენათ, რამდენათაც ჩვენ გვინდოდა მწერლობის ატმოსფერის გაწმენდა, გაწმენდა იმ ნიადაგისა, რომელზედაც გვიხდება ჩვენ შემოქმედება როგორც ქართველ პოეტებს.

პროვოკატორები აქ იტყვიან, თითქოს ჩვენ ერის წინაშე მოვალეობას, ერის წინაშე მოვალეობას, მეორე ხარისხოვან საკითხად ვთვლიდეთ ესე იგი, თითქოს ჩვენთვის არ არის მთავარი მიზანი ის, რომ ვიყოთ პოეტები მხოლოდ ჩვენი ერისა და ჩვენი ერისათვის. მაგრამ ეს საკითხი უკვე თავიდანვე გამორკვეულია. პოეტი, რომელსაც შემოქმედების მთავარ იარაღად აღებული აქვს მშობლიური სიტყვა, რჩება თავის ხალხის პოეტად, თუნდაც მთელი ერი მისი [illegible] ფიქრი ყოველთვის მიმართული იყო პოეზიის მსოფლიოს არესკენ. არ არის არც ერთი ჩვენი შეურიგებელი მტერი, რომელმაც არ დაადასტუროს, რომ ჩვენ შესაძლებლობის ფარგლებში, სინდისიერად ვსწავლობდით და ვამუშავებდით ყველა იმ პრობლემებს, რომელიც დღეს არსებობენ მსოფლიოს. პოეზიაში მაგრამ ევროპაში ჩვენ ვერ ვიცნობთ დღეს ვერც ერთ ლიტერატურულ სკოლას, რომელსაც შეეძლოს ჩვენზე გავლენია მოხდენა და გვაიძულოს შევსცვალოთ ის მთავარი ხაზი „რომელიც ცისფერმა ყანწებმა თავიდანვე აიღო. ეს იმას არ ნიშნავს, რომ თავისთავად ჩვენ პირველ გამარჯულ გზას დავკვდებით. მაგრამ გარეშე ჩვენი საკუთარი გზის განვეთარებისა ჩვენ ვერ ვნახულობთ ისეთ უცხო ლიტერატურულ სკოლას, რომელმაც შესძლოს ჩვენი გადაბირება. დადაიზმი გახრწნილების იდეოლოგიაა. ეს არ არის მემარცხენეობა. ენ საზოგადოთ არაფერი არ არი, გარდა დედის გინებისა.

არ ენახოს არასოდეს არც მზე, არც ბავში, არც სიზმარი და რევოლიუცია, რომ დადაისტი გახდეს.

ყოველ კეთილ შობილ და ნამდვილ პოეტში უნდა არსებობდეს კრიზისი, უამისოდ შემოქმედება ანალიზის გარეშე რჩება, მწერლობას ექცევაშ ეუჩერებელ და გამძლე ლაყბობათ.

მაგრამ როდესაც კრიზისი იმდენათ გაბოროტებს პოეტს, რომ ის აყროლდება როგორც ლეში, დაკარგავს სამუდამოდ იმედს, დაჟინებით მიყავს სიტყვა თვით მკვლელობისაკენ, მაშინ როგორ შეიძლება ლაპარაკი რაიმე შკოლაზე, შემოქმედებაზე, მომავალზე, ახალ ცხოვრებაზე. ცისფერი ყანწები არასოდეს არ მივლეს იქამდე, რომ სიტყვას აზრი და შინაარსი დაუკარგონ. ამისათვის ჩვენ სიტყვა მიგვაჩნია თავისთავად მეტად გამძლე და უკვდავ ფენომენად ის რაც დღეს ხდება ევროპის მწერლობაში ექსპრესიონიზმის სახელით, უკვე დიდი ხანია თქმულია. თავი რომ დავანებოთ სხვა შედარებებს, დავასახელებ მხოლოდ „ყანწებს“, და არ დავერიდები იმის თქმას, რომ. ყველაფერი რაც ახლა სადღება ექსპრესიონიზმის სახით, უკვე მოცემული იყო ჩვენი შკოლის პირველ პერიოდში. აქ კიდევ მტკიცდება რომ მარტო სახელ წოდება ვერ [illegible] სკოლას ახალ შინაარსს.

სდგება საკითხი, როგორი განვითარება უნდა მიეცეს ჩვენ ორდენს როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ჩვენ ახ- [illegible] ვის არ არის სავალდებულო რომ ის სწერდეს შემოქმედების კონსტიტუციას. როგორი ლექსია საჭირო ხვალ ეს დღეს არავინ არ იცის.

ყველა სკოლა უნდა იცოდეს მხოლოდ, აქვს თუარა მას სურვილი, ძალა, მოთხოვნილება აწარმოოს ახალი ბრძოლა, თუ იგი დარწმუნდა, რომ ყველაფერი ნაფიქრია, ახალი აზრი არ არსებობს, ენერგია დალეულია, საჭიროა ლოდინი მხოლოდ იღბლიანი წუთის როდესაც დასწერ კარგ ლექსს,, მოთხრობას, დრამას.

თუ ამ უკანასკნელმა გადაწყვეტილებებმა გაიმარჯვა, მაშინ უკვე დრო არის სიკვდილის ან იუბილეის.

ჩვენ ასე არ ვფიქრობთ. ჩვენი არსებობის ყველაფერი რაც მოგვცა შვიდმა წელიწადმა, ეს იყო მხოლოდ შესავალი იმ სამისეზონის უდაბნოში, რომლის შენება უნდა დაიწყოს. „ცისფერი ყანწები“ ერთი პოეტია. ამაშია მისი ძალა.

შვიდი წელიწადი გავძელით ჩვენ გაუძლებელ საქართველოში, რადგან სიყვარულის გარდა ვიცოდით ერთმანეთის პატივისცემა. ნურავითარი შკოლა მწერლობაში ნუ დარწმუნდება, რომ გასტანს, თუ არ იქნა შინაგანი გამტანობა. მხოლოდ ადამიანური ერთობა პოეტებისა, ჰქმნის მათი შკოლის შინაარს, მხოლოდ მუდმივი კავშირი არკვევს თუ რაიქნება ხვალ.

ცისფერ ყანწელებს შორის ყველა მომხრეა ახალ, ქუთაისის და ტრიესტის დღეების.

„ბარიკადი“ გვამზადებს ამისთვის ყანწელთა შორის მე მომხრე ვარ პერმანენტულ რევოლიუციის. ამიტომ დრო არის დავამზადოთ ცისფერი ყანწების შემდეგ ნომერი.

პაოლო იაშვილი.

„ცისფერი ყანწები“ მერვე წელს

იწყება მერვე წელი. მას შემდეგ, რაც პირველად გამოვიდა საქართველოში „ცისფერი ყანწები“. ჩვენი დრო იმდენად მდიდარია განცდებით და იმდენად დამძიმებული კატასტროფებით—რომ ეს შედარებით ხანგრძლივი დრო გვეჩვენება გუშინდელ ამბათ: ამ დროს განმავლობაში ჩვენ ბევრი, რამ ისეთი გამოვსცადეთ. რომ საჭირო იყო წინად საუკუნეები, რომ ვყოფილიყავით ასეთი ამბების მოწმე. ჭეშმარიტად ტიუტჩევის ციცერონის თქმით ჩვენ დავესწარით ქვეყნის საბედისწერო წამებს... ეს არის პერიოდი იმპერიალისტური ომის, საქართველო ამ საქმეში არაფერ შუაში არ იყო გარდა ამისა, რომ სასაფლაოზე აგზავნიდა საუკეთესო ვაჟებს და აქი გამოიტირა უდიდესს ცრემლებით ვაჟა ფშაველამ თავის ფშაველის წერილში—უმიზნობა ამ ომის და ვაჟკაცობა ქართველის: ჩვენ გვითქვამს და გავიმეორებთ—რომ ეს ლექსი მადასქარასტულ პორიოდის ლექსების საქვეყნო მეგობრობაში პირველობას... ომს კიდევ მოჰყვა რევოლუცია და სამოქალაქო ომები... იმავე ტიუტჩევის თქმით: Теперь тебе недо стихов о сердце Русское родное... საქართველოსთვის მართალია რევოლიუცია არ ყოფილა ორგანიულად გამოტანჯული მაგრამ იმდენად რამდენადაც რევოლიუციას უკავშირდებოდა ეროვნული განთავისუფლება ყოველი ქართველი უკანასკნელი ლტოლვით იყო გატაცებული... ამ პერიოდს ჰქონდა თავის კონნების ჩქარი ჩვენებები: ტფილისს მიდგომიან გააფთრებული ასკერები ვილგელმის ჯარის უკანასკნელი ნამსხვრევები ინგლისელები თავიანთ ფერადი ჯარებით; როცა მალაელის ჩრდილი დააწვა საქართველოსაც... ჩვენი ქვეყანა თავისთავად ეგზოტიური კიდევ უფრო გახდა შინაურებისათვისაც ეგზოტიური. ყოველ დღე დამძიმებული იყო ახალი შესაძლებლობით ყოველი ქართველი არა პოეტიც უშუალო ჩაბმულ ამ ფანტასმოგირიაში. გამორბძნედილი რევოლიუციონერები კიდევ ინახავდენ თავიანთ ისტორიის დიალექტიკის უკანასკნელ რწმუნებას. ასეთ დროს მწერლობისათვის თვით მწერლებსაც არ ეცალათ... ზღაპრული თქმა რომ ცა ას წელიწადში ერთხელ იხსენებაო ყველამ დაიჯერა და ამ გახსნილ ცაზე ოცნებასაც არ ჰქონდა დასასრული პოეტები კიდევ უფრო მეტს ოცნებობდენ... და მართლაც არა მარტო ზღაპრული ჩვენებითა იწყება ახალი პერიოდი, ცის გახსნა. რუსის პოეტმა ანდრეი ბელიიმ ეს ცის გახსნა ასე გამოსთქვა: ძველი ცაინგრევა; მას როგორც ინგრევა კვერცხის ზედაპირი ნაჭუჭი და იბადება ახალი ფრინველი, მაგრამ ამ ფრინველისთვის, ეს ცის დანგრევა ახალი ცხოვრების დასაწყისია. ეს ქარიშხალი ჯერ კიდევ არ ჩამდგარა ამ ქარიშხალის მოვარდნა სწერია არც ერთ ეფუთში, შესაძლებელია ზოგიერთობა მარწმუნებს ნახონ ანალოგიები აპოკალიპსში... ამიტომ თავისთავად მოხდა ის. რაც უნდა მომხდარიყო... ის ჯვაროსნობა პოეზიის რევოლიუციაში, ის პირველი გაბედული თქმა, რომლითაც გამოვიდნენ „ყანწელები“, და რომელმაც ერთხელ შეაშფოთა მთელი საქართველო, ნამდვილ მოვარდნილ რევოლიუციასთ მაინც გამოჩნდა გულუბრყვილობა: თუ წინად ხალხს აკაკი წერეთელი ფიგურალურად ხატათ ჰყავდათ წარმოდგენილი, და მის შეურაცხყოფას არავის აპატიებდა, დღეს ნამდვილი ხატები გადაყარეს წყალში, სოფლებიდან გაჰქრენ ეკლესიები და ვის სცალია პოეზიის ტრადიციის დაცვა... ნამდვილად ისე ხდება საქართველოში დღეს საგნების გადალაგება, რომ ვერც ერთი მემარცხენე პოეტი ისე შორს ვერ წავიდოდა.. და საერთოდაც იმპერიები დაიმსხვრენ, მთელი დინასტიები დაიღუპენ, მბრძანებელი ერები, რომელნიც არ ერიდებოდენ მსოფლიო ომის დანთესას... გერმანია და ავსტრია, დღეს მხოლოდ მოგონებას წარმოადგენენ ძველი დიდებისას,.. კლასებიც გადაშენდენ, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ უსწორებთ თვალს სინამდვილეს, ჩვენ კიდევ არ გვაქვს არიცხული მომხდარი ფაქტი: თვითონ ის პოეტები, რომელნიც იჩემებენ ამ რევოლიუციის პოეტობას...

რევოლიუციას ვერ სწვდებიან დღემდე არც ერთ პოეტს არ გადმოუცია ამ რევოლიუციის პაფოსი... შესაძლებელია და ჩვენ ვიტყოდით კიდეც, რომ სწორედ ამ ამბების ბრალია, რომ ჩვენმა სკოლამ გასძლო ამდენი ხანი, აკადემიკოსმა მარრი ბროსსემ შეადგინა ქართველ მეფეების გონეა ლოგია და ირკვევა რომ საერთო რიცხვით თვითეულ მეფეს საქართველოში ერთ წელზე მეტი არ უმეფია.

მით უმეტესს წარმოუდგენელი იქნებოდა ხანგრძლივობა მებრძოლის შკოლის პოეზიაში, რომელიც ყველაფერს აშენებს ოპოზიციაზე. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ აქ იყო ერგვარი ანომალიაც... ჩვენში არ იყო ის მაგარი ლიტერატურული ტრადიცია რომელიც ბოლოს თავის არსებობით, მაინც ხრწნის ახალ სკოლას. „ცისფერი ყანწები“ დინამიტებით მიადგენ ძველ მწერლობას, მაგრამ ძველმა მწერლობამ თავის თავი არ დაიცვა... მაგიკანები მკვდრები იყვნენ და მათი მიმყოლი ბრძოლის მაგიერ მოხდენ „ცისფერ ყანწების“ გავლენის ქვეშ... თუ იყო ფილისტერების ოპოზიცია ოჯახებიდან... ეს ოპოზიცია ამ ოჯახებთან ჩაკვდა... ამ ფაქტს ჰქონდა თავისი უკუღმა პირიც, აქ „ყანწელები“ გამოდიან კულტურ ტრეგერების როლში დარღვევის მაგიერ თვითონ იძლევიან მომავალ რღვევის მასალებს... მაგრამ ესეც ასახსნელია... ყოველ შემთხვევაში იწყება მერვე წელი... იმ სომფონიის, რომელსაც ჰქვია „ცისფერი ყანწები“... ეს ორდენი პოეტების მაგრად სდგას, თუ ზოგიერთ ახალგაზრდას არ უსწრებს სიკვდილი ვერც გარეშე მოაწოლამ ვერც შინაგანმა ბრძოლამ ვერ დახსნა ეს ორგანიზმი „ცისფერი ყანწები“ დღესაც სდგანან პოეზიის ჯვაროსანთა რიგში: თამამი, გამომწვევი, უარმყოფელი და შემოქმედი.

ჩვენ პირადათ გვწამს რომ პოეზია გეოლოგიური პროცესსის სინელით ასახავს სტილის რევოლიუციის, „ყანწები ელის იმ წამს რომ შეეძლოს ახალი „ბარრიკადები“ დადგმა;

შესაძლებელია ეს არ იყოს ორგანიულობა მემარცხენე პოეზიასთან მაგრამ ახსნას ვინმემ ვაჟა ფშაველას ვულკნის ფენომენი. დაკვირვებული ქართველის ნათქვამია: რომ ყოველ ქართველში სცხოვრობს მე ამბოხე ლიპარიტ ორბელიანი, მით უმეტეს ეს უნდა იყოს პოეტებში მაგრამ მეამბოხე პოეტები შვიდი წელია სცხოვრობენ ერთად და მათ გვერდით ათასჯერ გატეხილა სხვა ფრონტი ჩვენი ფრონტი კი სდგას ურყევლათ...

შესაძლებელია თვით პოეზიის კრიზისმა იმდენი ჰქმნას, რომ შთამომავლობას არ დარჩეს (თუმცა ჩვენ ამაზე ყველაზე ნაკლებ ვფიქრობთ) რაიმე დიდი პოეზიის მიღწევები... მაგრამ დარჩება ხსენება იმ ორდენის რომელსაც ჰქვია „ცისფერი ყანწები“-ს ძმობა, მეგობრობა რომელსაც შეადგენდენ 13 კაცი და ისტორიულ ანალოგიით როგორც 13 ასირიელმა მამებმა საქართველოში დათესეს ორტოდოქსი ქრისტიანობა ისე „ცისფერ ყანწებმა“ ნამდვილი პოეზია ამ განსხვავებით, რომ ასირიელთ მოაწიეს ქრისტიანობას როგორც პროზელიტებმა ყანწელები კი მოასწრეს პოეზიას როგორც მორიელებმა.

ასე იწყება „ცისფერი ყანწების“ მერვე წელი.

ტიციან ტაბიძე.

პორტრეტები

II

პაოლო იაშვილი

განსვენებულ სანდრო ცირეკიძის სხვა ხელნაწერებთან ერთად დარჩა „ცისფერი ყანწები“-ს პორტრეტები. სანდრო ცირეკიძეს თავისი ხელნაწერები ისე უსწორებია, რომ ბოლოს დარჩენილა მინიატიურის მედალიონები. ჩვენ ვბეჭდავთ უკანასკნელ რედაქციას: „რუბიკონში“ დაიბეჭდა ვალერიან გაფრინდაშვილის მედალიონი, ამ ნომერში ვბეჭდავთ პაოლო იაშვილის და კოლ. უნადარაძის პორტრეტებს:

ქართულ პოეზიას ყავს თავისი წითელი ხარი—პაოლო იაშვილი, მისი გაქანება არაა გაქანება მაიატნიკის, რომ იყოს მოზომილი. იმას არა აქვს ორბიტა: მისი ხაზი შემოქმედებაა ყოველთვის.

პაოლო იაშვილმა თავის უკეთეს ლექსში წითელ ფერებათ დაშალა „პანტა რეი“. ეს ლექსი გვაოცებს სახეების დინამიკით და რევოლიუციონური ოპტიმიზმით. არის აქ ფერების ხმაური და ილიუზია იმა ქვეყანათა უშუალო მზერის: გახსნილი ცის და მარადი ქინქლილების.

პაოლო იაშვილს ეხერხება „მეგობრებთან სულის წაგება“. წმინდა ლირიკაა „წერილი დედას“. პოეზიაში ყველაზე მეტი აღმართია ლირიკა: ალმაცერი ხედვის უკან შემობრუნება და „მე“-ობის მისტიფიკაცია. პაოლო იაშვილის ლირიკას აქვს უშფოთველობა და სისადავე მწვერვალების.

პაოლო იაშვილი არაა მოყვარული გაყინული ფორმების. „წითელი ხარის“ და „ფარშავანგების“ ავტორი ყველაზე უკეთ იმორჩილებს თავისუფალ ლექსს. მისი რიტმები ხან გაჩქარდება ხორეებათ გაწითლებული.

„გაგიჟდება ალით მხარე. ცისკენ მიჰქრის კვნესით ხარი.

მიწა რქებით მონათხარი ნაკვერცხლებათ სტკივა ჰაერს“ ხან წყნარა მიღელავს ანაპესტებით ღვთის სავედრებლათ.

„ღმერთო, აპატიე, მე თუ ვერ მიშველი“.

პაოლო იაშვილმა, როგორც თავაზიანმა რაინდმა, ლიტერატურაში გამოიყვანა პოეტი ქალი ელენე დარიანი და ძვირფასი ქვების ნათელი ფერებით გადაიშალა ეროტიული ლირიკა.

დირიჟორი ყველგან—პაოლო იაშვილი არის გაბედული არხიტექტორი ორდენის. ატლანტივით ორივე ხელით უჭირავს „ცისფერი ყანწების“ სიმძიმე.

ფარშავანგების წინამძღოლის ყივილი კიდევ შეაშფოთებს ქართულ ლიტერატურას.

III

კოლაუ ნადირაძე

ძველ ცისფერყანწელებში ლიტერატურულათ ყველაზე ახალგაზდაა კოლაუ ნადირაძე: მისი დებიუტი „ცისფერი ყანწების“ მეორე წიგნში იყო. მაგრამ პოეტი უნცროსი გაიზარდა სულ მალე და გაბრწყინდა კრებულის თანასწორ ვარსკვლავათ.

მის პოეზიაში არი გატანჯული სინათლე და სიყვარული ფენომენის. თავიდანვე შეიყვარა ქალაქი ავზნიანი და მალე მოუნდა ლოცვა საბრალო ლელიანივით.

„ახ ნეტავ ქრისტეს ჩემი გული გადაეხილა“.

კოლაუ ნადირაძის ლექსებში არის კათოლიკური წირვა თეთრი არშიით (ადრე ეს შენიშნა ვარამ გაგელმა): ირიბი ხედვა და ჩივილი ქვეყნის მრუდე სახისათვის. ხშირათ გადადის ირონიაში და სააქოს უსტვენს როგორც ცუდ აქტიორს.

პოეტი ჩაადაევივით დაფიქრდა თავისი ქვეყნის მეტაფიზიკაზე. მისი პატრიოტული ლირიკაში არის. გრძნობა მოთაფლისფერო წარსულის და თვალდახეული დატირება.

სულ ბოლოს კოლაუ ნადირაძემ თავი უჩინა დიდ თემას: ჰომუნკულუსივით გამოიყვანა „ღვრია შუშიდან“ ყვითელი მალაელი-ეფემერი პოეტი მარადი და მასთან ერთად დაიწყო საბედისწერო მოგზაურობა. ამ ლექსში კოლაუ ნადირაძე გათავისუფლდა ყველა დერიდახოლებისაგან და დაიწყო საკუთარი. გზა პოეტის.

სანდრო ცირეკიძე

ორპირის ოქროპირი

ეს არ არის მართლა ოქროპირი
— ეს მხოლოდ ორპირის ბაყაყია..
დიდებულად შვენის სამეფო პორფირი
დიდებულად იცის დოგმატების მალაყია:
მე თვითონ გამზარდა: ტიციან ტაბიძე
პოეტი ავყია:
საახალწლოთ, საშობოთ და სააღდგომოთაც
მე ერთი და იგივე მაქვს სათქმელი:
გაფრენილ ეკლესიის კაფედრაზე
. . . .
ამბობს პირდაპირ და აშკარად
როგორც კაზინოში კრუპიე: „ბაკკარა“
ჩვენთვის დღესასწაულები მარტო რაფიელ
ერისთავის ლექსებშია:
(კიდევ კარგია, თუ არ დაგავიწყდათ)...
ნეტავ მე ისე მიყვარდეს პოეზია,
ან თვითონ საქართველო
დედაჩემს, რომ უყვარს მეწველი ძროხა:
(შენ ვინც ამაზე გაიცინებ
ვიცი შვილიც ისე არ გიყვარს)
იმერეთში მღერის დანიელა ურია:
კახეთში კიდევ დედას ლევანა:
აკაკის და ილიას ლექსებს
პატარძლები მღერიან თავიანთვის საშინელ ღამეს
ყველაფერს მივსცემდი რაც რომ მაბადია:
რომ მოხსენებდეს ერთი მაინც ქრისტომატია:
ამბობენ იყო გიორგი სააკაძე
ჩრია მზითვებს უმატებდენ ვეფხის ტყაოსანს
(ამას ქვია ჩოხიანა დადაისტები)
ივანე ჯავახიშვილი სწერს პლუტარხივით
იქნებ ვინმემ ჩემზეც დასწეროს დისერტაცია
(მემარცხენეობა პოეზიაში უსათუოდ დასატაცია)
. . . .
. . . .
წინად ყველას, ჰორფლიან ქალსაც ჰყავდა თავის პოეტი
(საქართველოში მაინც)...
დღეს თვითონ მადონა ძირს რომ ჩამოვიდეს
მითხარით, მართლა ვინ ეტყვის ლექსს?..
ასე ამბობს ორპირის ოქროპირი
მსუქანი გომბეშო:
ამხანაგებო, პოეტებო, ვისაც გიჭირთ ლექსების წერა
ვიცი, რომ ამით გულზე მოგეშოთ:
იყავით, გამბედავი სთქვით პირდაპირ:
თქვენზე უფრო მასხრობაა თქვენი ლექსები:
ეხლა ნ. ო. ტ. ია და ელექტროფიკაცია
ლექსისთვის ვინც იცლის ის რაკაცია:?
კითხეთ თქვენ ნაცნობ პატიოსან პოეტს,
თუ ის შინაურია:
ვინ უფრო აღელვებს:
სტეფან მალარმე, თუ დანიელა ურია?...

ტიციან ტაბიძე.

პოემა კატასტროფა

ყველა მეშჩანებს, ბირჟევიკებს, ნაზ ქალბატონებს, სათუთ პოეტებს.
სცენა!
ოთხრიგად ჰატ!
ისმინეთ ცნობა, ახალი რადიო:
(ეს არ შეეხება პე-დე-ხ კონდრადის, რომელსაც ულვაშები არც კი ამოსვლია).
დღეს საახალწლოდ იყიდება
უცხო **პოემა**
ტროტუარზე დაქცეულ მაშარაბში ამოსვრილი
(მოიკითხეთ ტრესტი: „ვილებ დოლარებს“).
პოემა კატასტროფა
რომელსაც აქვს მიღებული პარველი ჯილდო
სველ სტრიქონების მარდ ოთურმაში.
იკითხეთ ბუხართან (დრო ხომ გეყოფათ)
ამ სიცივეში, დაკარგულ ქარში—
როცა გოზინაყს, ლაბლაბის ნაჭერს
ყელში ჩაიგლესთ.
(მაინც სულ ერთია: ვინ იდიოტი
წაიკითხავს ეხლა სონეტებს
როცა იოტიც
ამისათვის აღარ სცალიათ).
დღესასწაულზე!
ო, უეჭველად შეიძინეთ უცხო პოემა,
რომელიც არის ჩემივე ფირმის.
თქვენში უთუოდ გამოიწვევს ის **გაკვირვებას**
(აქ ორი აზრი არ შეიძლება)
წა მარდათ! დრო მირბის! დრო მირბის!
პოემა მრავალ გასაოცარ სურათს იძლევა.
სენსაცია:
შეუდარებლად არის ნაჩვენები
თეორია კატასტროფების
და მიწას როგორ აციებს.
აქ დაინახავთ: ცას გადახნულს გრიგალის ფრთებით.
ნევრასტენიკებს, სკლეროზიანებს: ფრთხილად, არ შეგეშინდეთ:
იქნება წარღვნა,მიწის ძვრა და შეჯიბრება დამთვრალ თოფების.
გამოჩნდება: როცა პოეტი ოცნებობს მთვარით,
ეინშტეინიც ფორმულების
დგამს მაღალ ყორეს,
რომ ცა ჭინკებმა გადმოაგორეს—
წამოვა ღველფი მრავალ
ნარვალათ
და უეცრად დაინგრევა
ო-გა-სა-ვა-რა-ი-მა.
(ვშიშობ არ მიიღოთ ესეც ვარამათ).
პოემა კატასტროფა.
მთავარ როლს შეასრულებს ოოტა გონაკო
(მთელ პლანეტაზე სილამაზით უპირველესი.
ვინც ნახა ყველამ შეაქო!
ქალბატონებო მხოლოდ ერთი დღე!
კონტრამარკები ამ დღისათვის არ გამოდგება).
მაინც ასეა: მთვარე კუს ზურგზე ისევ გაწვება,
და მოვა ქარი სველი მურტალი.
ძველი ამბავია (თუმცა დაივიწყეთ) ვეფხის
ტყაოსანს დაძვრა ბეწვები
და პოეტი ღამის სინებზე ისევ
გადადის სალტო-მორტალეს.
აქ პოეზია თავს უბრუნდება
შხამით, ტკივილით
(ეს არ არის რეკლამა,
წაიკითხავთ—თქვენც დარწმუნდებით)
ანონს!
პირველი ნაწილი პოემა კატასტროფის.

შალვა აფხაიძე.

ირრუბაქიძე.

პასუხი ევროპის პოეტებს შეკითხვაზე:
რეალისტებს ნატურალისტებს სიმბოლისტებს
ფუტურისტებს, დადაისტებს და ყველა მათ ნაშიერს.
. . . . . .
მე მაშინ ბავში ვიყავ.
ველზე მიმეძინა.
იყო დიდი მუხა და ტიტველი შუადღე.
იყო მწვანე ხავსი და ყვითელი კალო.
როცა გამეღვიძა—
სახელოებში ხვლიკები დავინახე.
მე არ მიკივლია:
ეს იყო მზის ნიშანი.
(ხალიბის სხეულს ნალად აჩნევია—
ყოველი კუნთი რომ არის მზენაკრავი)...
1917. აგვისტოს 17.
ირანის თეთრი ღამე ქვის ლომზე გავათენე.
(ფილიპპის ძე თვითონ ამ ლომის სახელია).
ეს იყო ხამადანში:
საცა ერთ ღამეს დიდმა ალექსანდრემ
ათიათასს მხედარს ათიათასი ქალი
მოთენთილ ბალახებზე ცოლებათ გაუფინა.
მე მხოლოდ მომაგონდა—
მაგრამ დავიკივლე: რომ ვნახე გადალახვა.
(ყოველი ხერხემალი ელის ამ ნიშანს—
დამვურვებელი ირრუბაქიძე)...
ჩემს მაღალ თავლაში
ჯერ კიდევ დაბმულია
დამცხრალი ცხენი პატმოსის კუნძულიდან.
მისი ნესტოები სეისმოგრაფია
ყველა მიწისძვრების.
უცდის დოსტოევსკის
და უსმენს მხოლოდ ქვესკნელის გუგუნს.
ერთხელ აიწყვიტა
და გაიჭიხვინა—
დიონისის სიტყვა „ტფილისის ხერხემალი“.
(სტამბები ვერ სტამბავენ:
ალბათ ეშინიათ დაზგების ავარდნის)...
იქვე ბაგას ანგრევს კიდევ სხვა ნადირი:
„კარდუს“ მონოლიტი რისხვარი მარტორქა.
მე არა მგონია რომ ვინმემ დაიურვოს.
მასთან ახლო მისვლა
მე თვითონ მეშინია—
თუ ხელში არ მიჭირავს ნინოს ნაწნავები.
(მხოლოდ ეს ანელებს).
უცდის მზის მოვარდნას—
გავარდეს საბურღაოდ.
(მითხარით კიდევ სხვა სანახაობა!)...
ჯერ კი მისი სუნთქვა
მოდის როგორც „მალშტრემ“.
(თქვენც იცით: რომელზედაც
რემბომ მიუშვა ულაყი ჰიპპოპოტამ).
მისი ავი სუნთქვა მოდუღს როგორც „მალშტრემ“.
ზვავების ურაგანი
შეანგრევს ევროპას.
სიტყვაც ხომ მაგარია:
ირრუბაქიძე)...

გრიგოლ რობაქიძე.

გასპარ გაუზერ

არის ქუჩებით დასერილი ჩუმი ოცნება...
და ჩემი ხსოვნა—მოღუნული კარიატიდა...
მე ჭაბუკობის ერთი ქუჩა მეჯადოსნება.
მთვარის ნამქერში ალტაცებით გული ატირდა.

მოგონებისთვის ცხოვრებაში ჩვენ ვეღარ ვიცლით.
მაგრამ ის ქუჩა მელოდება, როგორც ხაფანგი.
მთელი ქალაქი შეიმოსა რამლიან ნისლით.
გაჰკივის გული—თუთიყუში ბრიყვი და ბანგი.

ბრმა ხეივანი მეძავეთა. ფოთოლთ შურვილი.
და აფთიაქის დედოფალი შორი, ნათელი.
ჯიბგირი მორბის ნაცემი და პირგამურვილი...
ღმერთმა ვარსკლავი გაისროლა, ვით კამათელი.

თავის მკვლელები აქ ხვდებიან ერთმანეთს ღამით.
და თავის ქუჩას ჩაივლიან განმარტოებით.
იმათ ნიავი დაასვენებს სულ ერთი წამით,
რომ კვიპაროსმა დაიკვნესოს შავი რტოებით.

ლესავს ოპიუმს დავრდომილი მთვარე-ჩინელი.
გზადაბნეული ჩამოივლის გასპარ გაუზერ:
ახსოვს პაროლი თვითმკვლელობის მას საშინელი:
სახეს პირჯვარით მას არავინ არ გადაუწერს.

ვალერიან გაფრინდაშვილი.

28 დეკემბერი 1923 წ.

პოეტის ქუდი და თვითმკვლელობა

იპნევა თქეშით ნეშოები გამხმარ მცენარის,
და გაყინული მეეზოვე იორთქლავს ხელებს.
ვით ელექტრონის მოშვილდული შუქი ზენარი,
მიყვება ლანდი გარისხული ქუჩის ღელეებს.

დაჭრილ ვეფხივით გადაირბენს ავტომობილი,
ქუჩას უდაბნოს ისევ ქარი დაიმორჩილებს.
გზა გადაჭრილი სდგას სვეტივით ღამის დობილი
და თითქოს ესმის მდინარიდან ტირილი ნორჩის.

ირყევა ხიდი ამართული ეშაფოტივით
დასცქერის მთვარე: ბალდახინით ქალაქს დაპყრობილს.
უეცრათ ზვირთებს დაეცემა მძიმე ნაფოტი
და მოხრის ქარი უცხო მგზავრის ხელებს აპყრობილს.

იღლება ღამე, ვეღარ უძლებს მეტოქეს ახალს—
იშლება ცაზე ყვავილივით ფრთა ანგელოსის.
დაბმულ ტივებთან მეორე დღეს ბავშვებმა ნახეს
. . . . . .

რაჟდენ გვეტაძე.

კვირა დღე ტფილისში.

ატმოსფერა
იყო
ატმისფერი.
პეპელა
გაეკიდა
პროპელლერს.
მე ვიდექი როგორც
აპოლლონი.
M-lee პელო
ჰგავდა გამოფენას.
პროვინციელები
უცქეროდენ
პროპელლერის
ფრენას
და იცინოდნენ.
შუა ქუჩაში პენპენდიკულიარივით ამართული
მილიციელის
ულვაშები ჰგავდა
ინიციალებს.

გრიგოლ ცეცხლაძე.

ბიჭი და ბაყაყები

ზაფხული. ღამეა. მთვარე და ქარია.
ტრიალებს ალმურში ოცნება ნაშვები.
ვიცოდეთ ეს ღამე რომ ჯადოქარია
და სულო, ერიდე, ნუ დაიხაშმები.

ამაყი ვასაკა დაჭიმვით ყიყინებს.
ბაყაყთა ყრუვდება პირმყრალი ყაყანი.
ეს ჭლექის ქეიფი გულს გადამიყინებს,
რომელსაც აქ უშვებს მიდამო ნაყანი!

ალფეზაც გამოჩნდა ქუჩების სახედან.
დამწვარი საოცრად ვერცხლის ორ შაურით.
ჭაობში დაყვითლულ ბაყაყებს ჩახედა,—
უხილავ არლანის ხრიალა ხმაურით!

ქვებს უშენს ბაყაყებს. იჭირავს გარედან.
ავარდნა ნაპირზე ფიჩხების ტკიცინის.
ელვრება ქვეყანას ჰაშიში მთვარედან...
ბაყაყი კვდება და... ალფეზა იცინის!..

უფალო! უფალო! სუყველას მოდრიკავს,
მთვარეულ ღამეში გრიგალის მარაო?!
მარიდე სიგიჟის მხურვალე, ოდრიკალს,
ო თეთრო ფარაონ! ო თეთრო ფარაონ!

შალვა კარმელი.

ოდა პიკასოს

ჟან. კოკტო

მჯდომარე ადამიანი

მოგონება მონპარნასსზე
„ო, ჩემო, ლამაზო“.

ჩრდილოვანები.
სწევს თავის ყალიონს.
დავტოვოთ ესპანეთი!
პაემანი ნადართან,—
ფანჯარა,—
ოქრო სარკისა.
ტრიალებს ირგვლივ
დამგეშავი მუზების, რომელიც აბავს
თუნუქს ძუკნას დასიდან
თითონ დასჯილი,
განიძრახავს ის
ყაჩაღობას.
ხაფანგი! რადგან
გააბრაზა,
თვით ის შაიგდეს თავის ხროვაში,—
და
ეძებს,
შველას.
თვით ამ მონასტერში
კანკალებს პატარა ერატო,
რადგან სრულიად მელოტია
სოლფეჯო სისქეთა
ერტყმის ევტერპას.
ისინი იყვენ დირიჟორები
ნოტების ქარხნის სასახლეებში.
ვისი სცემს
მოტორი?—ეს შენი გულია.
ტერპსიხორა ცდილობს
შეაჩეროს ყველა ეს დამები
წონასწორობაში
თავის თეძოზე
ოქროს და ხავერდის ძვირფასობით.
მღერიან სავარძლები
„Ma paloma“.
ოთხი სანგალი ახლოვდება
და საგნები
მისდევენ ორთეოსს
საითაც მას უნდა:
აგურის ქალი,
აბრა „Bass“
წითელი რომბი.

გიორგი ლეონიძე.

⁂

ალერსი მინდა ფეხშიშველა
კოცნები
ოცნება ცხელი
მე შენმა სახემ ვერ მიშველა.
იწვის სამხრეთული ვნება.
მტევნებათ
მკრთალია ხილები და ჩემი ტანის სითბო
[illegible] თვალების სიტკბო.
ჩუმი სიყვარულის რთველი.
ხარ უცნაური ვაჟი!
თითქოს იძირება ზღვაში მწვანე, გამოხედვის ვარდა
თითქოს არ გყოფნია სივრცე, ეს არის შენი ფარდი.
აკლდამა,
მოვკვდები,
მოკლდება ხელი გამოწვდილი შენკენ.
მელოდი, მაგრამ ვერ მოველი
იყო ღამე და მთვარე როგორც რევოლვერი,
როგორც შეყვარება ტიციანის ხელებზე,
სიზმარში მაკოცებს ვამპირი
დამიცდის უფრო უარესი
შენ ხომ მე სიყვარულს თამპირდი
და მინდა ცისფერი ალერსი

ნინა თარიშვილი

ექსპრესიონისტი პოეტები

I.

იაკობ გოდდის.

ქალაქი.

მე ვნახე მთვარე და ელლინური ზღვა.
მისი ათასფერადი ბრწყინვა.
და ჩემი ბედი ებრძოდა ღამეს.
და შვიდი ცეცხლი—ჩემი ამალა—
გზას მინათებდა ღრუბლებიდან გამარჯვებისთვის.
„დავიღუპები? თუ მუდამ მაწამებს
ბოროტი ქარი შორ ქალაქების?
მე ხომ გავტეხე ცარიელი ლამპარი ყოფნის?“
გზა შორეული. ჟამთა ტრიალში
ჩვენი დაფნები გამოხუნდენ. ო, ღმერთო ჩემო.
არც ფლეიტები, არც სკრიპკები
ყოფილ სიხარულს არ მესხურებენ.

II.

ივან გოლლ.

ნეგრი ვარიეტედან.

მისმინე, ნუ შესტირი ევროპას!
დაეყრდნე თავით მოვაჭრე ქალების მუშკის მკერდებზე.
მანოლის პაპიროსები სთვლემენ ისე ცისფერად!
მშვენიერია ცხოვრება, ჩემო ძმაო!
მაგრამ მე ვიცი: როცა დაიწყება როიალის ბლოყინი,
და მადოლინები კაწრავენ შენს გულს—
ცოცხლდება შენი ქალწული ტყე
ბებერი კამეჩები დაეხეტებიან მოკენჭილ ნიაღვარებთა,
შენს ოქროს ზაფხულს ახრჩობს ბრაზიანი მზე.
მაშინ: იზრდება უსაზღვროდ შენი წუხილი!
მდუღარე ცრემლებს ხედავს ტიპერარი.
კელნერები ბრწყინავენ ცეცხლის წალკოტებიდან,
როგორც ოდესმე შენი ღმერთი,
და შენი გულის გიპოპოტამი შებლავის მთელ ქვეყანას.

ტრისტან მაჩაბელი.

ვალერი ბრიუსოვი

ქალაქს

დითირამბი.
შენ, როგორც მეფე, ბატონობ ბარზე.
ზეცა დასერე ცეცხლის ცხრილებით,
დაუზოგველად შემოიგარსე
შენი საზღვარი ქარხნის მილებით.
მინის, აგურის და ფოლადისა,
გადახაზულო რკინის რკალებით,
ხარ ჯადოქარი სამარადისო
ადამანტიური იდუმალებით.
როგორც დრაკონი უფოთო და მწყრალი,
ჩასაფრებული, სდარაჯობ წლობით,
დაუშრეტელი გაზი და წყალი
რკინის ძარღვებში დაგიდის ხმობით.
შენი სტომაქი ხარბი, მშიერი,
ჟამთა ნადავლით ვერ გამაძღარა:
მასში მრისხანებს ბოღმა ძლიერი
და სიღატაკე ღრიალებს მარად.
ჭკუაცბიერო! ავ მოსაზრებით
სივრცე კოშკებით შენ შემორკალე.
შენ საზეიმო დადგი ტაძრები,
სად მიეც ბინა წიგნებს და ქალებს.
შენ თვითონ იწვევ ულმობელ მტერებს.
შენ გამოიხმობ ურდოს თავნებას.
და შავ მიტინგზე გზავნი ქიმერებს:
სიშიშლს, სიგიჟეს ამპარტავნებას.
და როცა ბროლის სახლებში მოდის
კვლავ გარყვნილება ცეცხლის სალამით,
მაღალ ჭიქებში ხმაურობს ოდეს
ტბილვნებიანი წუთების შხამი,
პირქუშ მონების მოღუნე მხრები,
რომ დაუდგრომელ მძიმე ხველებით,
რატაციონის მძლე მანქანები
კვეთდენ მახვილებს მეტ გახელებით.
ცბიერო გველო ჯადოსან ცქერით!
ბრმა გაბრაზებით და წყრომით სავსე,
სიკვდილის დანა გიჟი იერით
შენ თვით ამართე საკუთარ თავზე.

ვალერიან გაფრინდაშვილი.

ვალერი ბრიუსოვი

ალექსანდრ ბლოკის სიკვდილით და ვალერი ბრიუსოვის იუბილეთი საბოლოოთ შემოირკალა რუსეთის სიმვოლიზმის ისტორია. მართალია დიდი ხანია მას შემდეგ რაც რუსეთის სიმვოლისტების შკოლამ დაკარგა მებრძოლი ხასიათი და შეიქნა აკადემიათ, მაგრამ ამ დრომდე ალბად სხვა შკოლათა სისუსტის გამო მწერლობის სადავე მაინც მათ ხელში იყო, ვალერი ბრიუსოვი უეჭველი მეთაურია რუსეთის სიმვოლისტების.

მისი მეტრობა უდავო იყო იმ თავითვე. ძვირად ყოფილა რუსეთში ისეთი პოეტი, რომელსაც სიცოცხლეშივე რგებოდეს იმდენი გამარჯვების მწვერვალები და დაცემის ხრამები, როგორც ვალერი ბრიუსოვს. მისი პოეტური კარიერა ყოველთვის ორმაგი იყო. შინაურებს და ამასთან ისეთ დიდ პოეტებსაც როგორც: ანდრეი ბელლის და სერგეი სოლოვიოვს ის წარმომადგენელი ჰყავდათ ჯადოქრად მაგათ... მათ ლექსებში ჰყავთ ასახული აფთარის სახე ვალერი ბრიუსოვის, რომელიც უკახასკხელი სიგიჟით ალბეჭდა მიხაილ ვრუბელმა. მეორე მხრივ მთელი მეშჩანური გვარდია კრიტიკოსების და უბრალო „ოზივატელების“-ს მასში უარყოფდა პოეტსაც კი ი. აიხენვალდის მეთაურობით: ნამდვილად ვალერი ბრიუსოვი ორივე უკიდურესს ფრთასვის იძლეოდა მასალებს. უნივერსალობა და დიდი ერუდიცია, რომელიც უჩვეულოა რუსეთის მწერლისათვისაც კი (თუმცა ამ შემთხვევაში რუსეთს საქვეყნო რეკორდი აქვს აღებული, რასაც ამოწმებს ე. ვერჰარნი) რასაკვირველია ვერ ეგუებოდა ამ ტრადიციულ „ლირიკის წყალს“ რომელიც ჩაეთესლა რუსულ პოეზიას ნადსონისა და ფოფანოვისაგან (საკმაო ხარკი მისცეს ამ სიმჩატეს კ. ბალმონტმა და ა. ბლოკმა(ც). ვალერი ბრიუსოვმა იმ თავითვე ლექსის ოსტატობა გამოაცხადა პრიმატათ და უნდა ითქვას, რომ ვალერი ბრიუსოვისთვის ეს არ იყო მარტო, დეკლარაცია. ამ მხრივ ვ. ბრიუსოვის განვლილი გზა რუსულ პოეზიაში ნამდვილი „დევის ნაფეხურია“... არავინ რუსეთში ისე არ იცის ლექსის მაგია და ალგებრა, როგორც ვ. ბრიუსოვმა, მან ინკუბის სიმძაფრით ამოსწოვა პუშკინის ლექსი და ქიმიურად დახსნა თ. ტიუტჩევი. ვ. ბრიუსოვს გადაუტანია არა იოლი ომები რუსეთის ნამდვილ აკადემიკოსებთან. მისი „პუშკინის ლიცეის პერიოდის ლექსები“ ნამდვილი შედევრია ჭკუისა, დაკვირებისა და ცოდნის.

უეჭველია ვ. ბრიუსოვს არ აინტერესებდა ლექსი მარტო მეცნიერულად, მან გამოსწოვა და შეიდნო რუსეთის ლექსის ყოველივე შესაძლებლობა და შეშლილ ინჟენერთვით მიუყენა სამყაროს.

არ არის არც ერთი ტემა, რომელიც ვ. ბრიუსოვს არ ეცადოს, და არ აქვს მას არც ერთი ლექსი, სადაც ტემა არ ეძლიოს. ამ მხრივ ყველაზე უფრო შესანიშნავია მისი გაგრძელება „პუშკინის ეგვიპტის ღამეების“... მან დაათავა პუშკინის ეს პოემა, პუშკინის ლექსით და აჩვენა ეროტიკის უკანასკნელი ხრამები.

ეს არის გათენებული ღამეები კლეოპატრასი.

არა მარტო ამ მხრივ ვალერი ბრიუსოვი ნამდვილი იოანნე კალიტაა რუსული პოეზიის, მან შეჰკრიბა, შეამრთელა და შეჭედა. რუსული ლექსი ლათინური ფოლადით: შეიძლება ითქვას, რომ მის გაჭედილ სონეტს „ასარგადონს“ ტოლი არ ჰყავს მთელ რუსეთის პოეზიაში.

იქნებ ეს მიკერძოება ლათინური რასსის იწვევდეს მასში იმას, რომ მან ერთმა მისცა რუსეთის პოეზიას ყველა ფრანგული პოეტების თარგმანები: დაწყებული ვოლტერიდან და გათავებული ვილდრაკამდე.

ვერჰარნი და ჟიულ ლაფორგი მთლიანად. ამ შემთხვევაში მან მართლა გაამართლა თავისი ღერბი გამწევი ხარის, რომელსაც ტვირთის ქვეშ ოფლი მოსდის: იქნება ის მეტიჩარა, ვინც გაბედავს ასეთი ტვირთის აწევას და ოფლს მოერიდება. საზოგადოთ შრომას, მანამდე სანამ ის კონსტიტუციით დაიმკვიდრებდა პროლეტპოეტებს ვალერი ბრიუსოვმა პირველად მისცა გამართლება: ეს არის მისი ოდები: ადამიანს და შრომას.

უეჭველია ასეთი გადამეტება ცოდნის და რეფლექსიის აჩენს თავის უარყოფით ნიშანს წმიდა პოეზიას და იწყებს გადახრას.

ასეთია ვ. ბრიუსოვის გასაღება რენეგილის მეცნიერულ პოეზიის ინსტრუმენტალიზმის, რომელსაც პოეზიასთან მიახლოვებითი კავშირიც არ აქვს და რომელიც თვითონ აბითურებს თავის თავს: მაგრამ რუსეთში სწორედ საჭირო იყო ასეთი გადამეტება, რადგან ფოფანოვის ცხენის ფაფარივით დაუვარცხნელი თმა და ლოთის ბოსიაკობა ილებდა კანონიზაციას. შეიძლება სწორედ ასეთ რეაქციის ბრალი იყო ვალერი ბრიუსოვის გადამეტებაც. მაგრამ, როგორც ერთხელ ვალერი ბრიუსოვმა ტიუტჩევს უწოდა მასწავლებელი პოეტებისთვის პოეზიის, ისე თვითონ შეიქნა პოეტების მასწავლებელი: ნამდვილი ხაზი რუსეთის სიმბოლიზმის გამართულია ვალერი ბრიუსოვისაგან; მისი მოწაფეები არიან ასე თუ ისე თვალსაჩინო რუსის პოეტები: მაქს ვალოშინი, მ. კუზმინი, ნ. გუმილიოვი, რამდენამდე ინოკენტი ანენსკი, ო. მანდელშტამი და თვითონ მაიაკოვსკი. ვალერი ბრიუსოვამდე რუსეთის პოეზია იყო ბუკოლიკური, რუსეთის სოფლის, პუშკინის გადახვევით და ა. ფეტის დასრულებით: ვალერი ბრიუსოვი პირველი ქალაქის პოეტია რუსეთში, მისი „ქალაქი“ და „დემონი თვითმკვლელობის“ აგრეთვე შედევრებია.

შედევრები საზოგადოთ სახელია ბრიუსოვის ერთი წიგნის; ამაში არის გადამეტება, მაგრამ ბრიუსოვი ოსტატისთვის ეს მაინცა და მაინც არ არის გიპერბოლა. ვალერი ბრიუსოვმა გადაიტანა შინაგანი ბრძოლა თვითონ რუსის სიმვოლისტებთან, რომელთაც უნდოდათ პოეზია გადაეთრიათ მისტიკაში და რუსულ ხლისტობაში; ანდრეი ბელლი, ვიაჩესლე ივანოვი და ალ. ბლოკი. ბრიუსოვმა ბრწყინვალეთ დაამტკიცა, რომ პოეზიისთვის ზედმეტია როგორც ტენდენცია „მქადაგებელი“ (დობროლიუბოვის და ჩერნიშევსკის სემინარია) ისევე ზედმეტი თეურგია, რელიგია და ხლისტობა ანარქისტულ ინდივიდუალისტების. (კამათი „აპოლონ“-ში). მის მხარეზე გადავიდა ბალმონტიც, რომელმაც განაცხადა:

Вы пророки—Я поэт!..

ვალერი ბეიუსოვს, გარდა პირადი პოეტის თვისებისა უშლიდა ისიც, რომ ის იყო მეთაური მებრძოლი შკოლის: ამიტომ ყველა ახალი მიმართულება და უბედური პოეტები (неудачники) პირველად ვალერი ბრიუსოვს ეძგერებოდენ მაგრამ, მას ხარის ღონეს გარდა მაგარი რქებიც ჰქონდა.

ამას წაიკითხავს ყველა, ვინც დაინტერესდება ჟურნალ „Весы“-თ. ათასი ფსევდონიმით ბრიუსოვი ებრძოდა ათასს შინაურ და გარეულ მტრებს და ლარივით მიჰყავდა თავისი ხაზი. ეს ეპოპეა ბევრ პოეტს შთააგონებდა ლექსებსაც: როგორც ახალი რკინის დემონი იდგა ვალერი ბრიუსოვი თავის მეტროპოლში და კანონ მდებლობდა პოეზიას. არ ჰყოფილა არც ერთი საინტერესო ჟურნალი აქამდის რომ სამხატვრო ნაწილის რედაქტორი არ ჰყოფილიყო ვ. ბრიუსოვი და ის თითქმის იჩენდა ლიკონტდე ლილის სისასტიკეს და შეუძლებლად ჰხდიდა ლიტერატურულ განყოფილების წარმოებას. ვ. ბრიუსოვმა იცოდა, რომ თანამედროვე პოეტი, ვერა დროს ვერ გაამართლებს თავის თავს თუ ის არ იქნება ცხოვრებითაც პოეტი. ამიტომ მის ბიოგრაფიაში ზედმეტია ბიოგრაფიული გადამეტებები: პუშკინის „დონჟუანის სია“, სონეტების გვირგვინად, რომელზედას წინად ამბობდა „Еще не настало время, писать о моих романах“... აქ ხშირი იყო კიდეც სიკვდილის დანაშაულიც... ეს წინ გაზომილობა, შეგნებული დემონიურობა ჩრდილს ჰფენს კიდეც მის პიროვნებას.

ადრინდელმა გამარჯვებამ ვალერი ბრიუსოვი მიაჩვია სინებივრეს, ის თითქმის ათი წელია რაც თავისთავს გადამღერის კმაყოფილ პეტრონივით... ამ ათ წელში სწორედ ეწვევა რუსულ პოეზიას შხამი და ფუტურისტების იეზუიტი კრუჩიონიხი ჰხრწნის პოეზიას: ამ დახსნის შემდეგ ვ. ბრიუსოვის რიტორიკა სულ სიყალბეში გადადის და თავის მოსაგრეხი ლიტერატურა ჰხდება: და ვალერი ბრიუსოვი ემგვანება ჯამბაზს: სიბერის დროს ჯამბაზობა უფრო ტრაგიულია: ერთში პირდაპირი იყო ვ. ბრიუსოვი მას არას დროს ქედი არ მოუხრია: ასე რამ თუ მას აგინებენ, მას თავის სიამაყით შეუძლია თავის მართლება: ფუტურისტებმა კი არ იციან დაზოგა; მათი პლაკატი კაფეში ალ. ბლოკის სიკვდილზე: Умер бар.. поэт... არ იყო დამსახურებული ბლოკის მიერ.. რომელიც ყოველთვის ულიმოდა მემარცხენეობას: ვალერი ბრიუსოვი იუბილემდეც პოეზიის ისტორიას ეკუთნოდა, არ იქნება დღეს არავინ ისეთი შემომქმედი პოეტი, რომელიც ვ. ბრიუსოვით იყოს ალტაცებული: მართალია ის არ არის ქბილის ექიმი ქალების პოეტი, მაგრამ ის მაინც წარსულია. და ამას გარდა ის ლიტერატურას შმორის სუნი უდის: არა თუ მემარცხენე პოეტები: ვალერი ბრიუსოვს არ ზოგავენ მისი თანამდროვენიც: ანდრეი ბელლი თავის მოგონებაში ალ. ბლოკზე იძლევა ბრიუსოვის სასტიკ დახასიათებას, აგრეთვე მისი მეორე მოწაფე ბორის სადოვსკოი, რომელმაც მას სალიერი დაარქვა პოეზიაში... ბრიუსოვის დახასიათებისათვის საკმაო არ არის ერთი მოხსენება არ არის არც ერთი მხარე ხელოვნების, რომ მას არ ეხებოდეს... გათავებული ანტლანტიდებით და სომხეთის „ბიბლიით“ როგორც დაარქვა ალი არსენიშვილმა მის სომხურ პოეტებას თარგმანის წიგნს: მაგრამ დასაფასებელია ის, რომ დღემდე ვალერი ბრიუსოვი სერჟანტივით სდგას პოეზიის ფრონტზე და წურბელივით არ ეშვება. ეს არის მისი სტიქია, მისი დაწყევლა და მისი ბედიც... მას კიდევ ესიზმრება: и замыслов не завертенных тени... ასეთ ალტაცებულს მოუსწრებს მას სიკვდილი: ბრიუსოვი უკანასკნელი პორტრეტი ერთი წერილის საგანია. ბრიუსოვი აფთარიდან დამსგავსებია საწყალ ვერლენს... პოეზიამ მაინც იცის ატირება... საუკუნებით ანიშნულია გზა დამასკოში.

ტიციან ტაბიძე.

კოტე მარჯანიშვილი

ეს უთუოთ ქართველების ბედია: ცხოვრებას მისცეს მთელი პათოსი და გენია და კულტურას კი—მხოლოდ ნიჭი, და ისიც შემთხვევით, საჩუქრად.

ძველად, ალბათ, რელიგიური ექსტაზი ასწავლიდა მოთმინების ფენომენს ჩვენ დიად უსახელო ხუროთ მოძღვრებს. თითოელ ჩუქურთმის დაწნას ან რომელიმე თევზს ხომ სიზიფის ღვაწლი უნდოდა. განცდის მწველ მომენტს აქ დიდი ხნის შეჩერება ელოდა. მაგრამ რწმენა დიდ სიდინჯეს შეიცავს.

ვინ იცის აამღერებდა საუკუნეებს „ვეფხის ტყაოსანი“, რომ მისი დაცვისბედი ქართველ საერო კაცის ხელში ყოფილიყო?

გაგის ციხე თუ ვარძიაა საპატიო მცველია ქართველ „პარსიფალის“.

ბერებმა თუმცა შეგვინახეს ეს წიგნთაწიგნი, სამაგიროდ დიდ-ძალი სალვთის მეტყველო კოსმეტიკა დაახარჯეს „ვეფხის ტყაოსნის“ გამსჭვირვალე და ელინისტურ პანტეიზმს. მაგრამ მათი ფერ-უმარილი სრულიად არ ეკარება საშუალო საუკუნეთა ქრისტიანულ მისტიკისაგან თავისუფალ მღერას ავთანდილისას.

მაგრამ ამ მხრივ ახალ ეპოქასაც ბედი არ ეწია. მონასტრები ვერ მოესწრნენ თავის სტამბებს და მხოლოდ პერგამენტებს დაუდგნენ დარაჯათ.

ქართულ უნივერსიტეტის ანალები ახალი მისული თუ იქნებიან ბოლონიასა და ოქსფორდში.

ჯერ კიდევ გუშინ წიგნი სულ არ ყოფილა.

ამის მოწმეა: „ლექსნი თქმულნი ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ“.

მისი რვეული ხომ ბედს ხელიდან შემთხვევით გამოსტაცა ვალერიან გუნიამ.

ჩვენი „განათლების საუკუნე“—ზაქარია ჭიჭინაძეა.

ის, როგორც აღმაშენებლის დროის ბერი, თითქოს თავის ხელით ბეჭდავდა თავისებურ აპოკრიფულ ისტორიოგრაფიას.

ჩვენ არა გვაქვს არც ერთი ჩვენი კლასიკოსის ცხოვრება დასრულებულ in puarto-თ.

ჩვენი ვაზარი-იონა მეუნარგია ხომ ლაპიდარულია. მას წინ არ უძღოდა ცნობებით დატვირთული, ex lilris-ებში დაკიდებული ფაქტების ლეგენდა.

და განა ჩვენში არ არიან ცხოვრებანი, რომ-წიგნს კი არა-უკვე ბრძანებლად სიმფონიას მოითხოვენ?

უკვე მეშვიდე გამოცემა მაინც უნდა იყოს—და აბა სულ თუ მოგვეპოება—ალექსანდრე ჭავჭავაძის დროის მონოგრაფია.

სად არის ჩვენი 32 წლის Sturm nnb Draud-ის პლეიადის ღირსეული ძეგლი.

ქართველი მიტრიდატი ალექსანდრე. მანანა ორბელიანი.

არჩილ ჯორჯაძის ცხოვრება. მისი პოეზია და განწირვა. მისი ლოცვა პარიზის პანთეონის წინ. მთელი მისი ჯვარცმული გზა. წლები ბრძოლის და ხანდახან, ერთი წუთით, მადონასთვის ღალატი ბრძოლისა. თითქოს იგი ამ დროს შედიოდა ქაშვეთში... ამ ლოცვების კრებული—მისი „ნაზარევი“ პაოლის ურნაა. ჩვენ ვერ დავლევთ ამ ურნიდან ვერც ერთს ცრემლს. ეს მისი ნამდვილი ღვინოა, რომელიც „ცხოვრებამ-მუშაკმა დასწურა მისი გულის მტევნებისაგან“.

ის იძულებული იყო დასთა ბრძოლაში ეტრიალა და მისი კალო უმისოდ გადაიწვა.

როგორც გოტიე ძალით სწერდა მეორე იმპერიის უმზგავსს ტეატრზე, ბალეტზე და მეშჩანურ ლიტერატურაზე და ზიარების მისაღებათ შევიდოდა თავის მინანქრების და კამეათა საყდარში, ისე არჩილი ჩემოძარცულ ფილტვებით ულონოთ ერთი წუთით შეიპარებოდა იტრის წისქვილში, რომ ყური ეგდო ქართულ სულის რიტმისთვის.

რომ თავის სევდიან თვალებით დაენახა გრიგოლ რობაქიძის „უძღების ლექციების“ ხანა, როდესაც მან ევროპიულ აზრის ნავთ-სადგურებიდან ახლად მოსულმა პირველად ახლოს მიჰფრინდა ქართულ პრობლემათა ცასთან.

საქართველოს სულაც რომ დაავიწყდეს თავისი ძველი ლეგენდები, ლეგენდის კრიზისი მაინც შორს იქნება მისგან.

ლეგენდები სულ ახლოს არიან ჩვენთან. ჩვენ თითონ ხელით ვეხებით ლეგენდას.

ნიკო ფიროსმანი ბევრმა ნახა, მაგრამ ახლა თითონაც აღარ სჯერათ ეს.

რაც არ უნდა ვეცადოთ მისი ფაქტებით აღდგენას შედეგს ვერ ვაღწევთ, რადგან ის ლეგენდაა.

ეს ლეგენდა—უძირო ჭაა ჩვენი ძველი სულისა.

იგი იძახის საუკუნეებში:

ციხეს ვზი ეზომ მაღალსა, თვალნი ძლივ გარდასწუდებიან.
გზა გუირაბითა შემოვა, მცველნი მაზედა დგებიან.
დღისით და ღამით მოყმენი ნობათსა არ დასცდებიან.
მათთა შემბელთა დახოცენ, მართ ცეცხლად მოედებიან.

ამ ლეგენდის ერთი მობრუნება, ერთი „მოყმე ვინმე—**კოტე მარჯანიშვილია**.

თუ მუსიკის სულიდან წარმოიშვა ტრაგედია, ჩვენმა მუსიკის სულმა ჯერ მხოლოდ პირვანდელი სახე, ზღაპარი აბესალომი წარმოშვა.

ვაგნერმა კი თავის ზიგფრიდში ეს აღიარებული აქვს თითონ „მიშელ“ ბაკუნინის ცეცხლი შეიტანა.

ზიგფრიდი-ბაკუნინი გამოსჭედს ხმალს, რომლითაც დრეზდენს აიღებს და სლავიანურ რევოლიუციების ციკლს იწყებს.

მაგრამ სად არის მარჯანიშვილის სათავე?

ქუთაისის პურადოვის თეატრიდან იგი, როგორც შექსპირი თავის სტრატფორდიდან ცხენზე. გაჰქრება, რომ თავი ამოჰყოს შორს, ჩრდილოეთში და იქ დაიწყოს თეატრის რევოლიუციის მზადება.

მარკო პოლოს გადმოცემით ყარაყორუმში თქმულება დადიოდა, რომ ქართველი მეფეები მკლავზე არწივის ნიშნით იბადებიანო.

მარჯანიშვილი დაბადებულია თეატრის დიქტატორად.

თუ რომელიმე თეატრის კარი შეაღო, იქ ის უთუოთ Jl principe-s.

სევდა მან არ იცის. ის ვერ შეეთვისება ჩეხოვის თეატრს.

ის ქალდეას ცეცხლის სვეტია.

მათში კახეთის სისხლია ამბოხებული.

მოსკოვის სამხატვრო თეატრში ის ერთხელ შეიჭრება მხოლოდ იმისთვის, რომ დაასადგუროს იქ კნუტ ჰამსუნის ველური სული და სისხლი მოუწამლოს პერ ბასტს თავისი გველით, რომელიც მას მოსევით თანა ჰყავს.

მისი ბინა „ფალც ფეინის“ სასტუმროში პტოლომეის კაბინეტი იყო—ეგზოტიური წიგნებით, მორთულობით და ნახაზებით.

თითონ ის მოსკოვის ზამთრის ფონზე იულის კეისრის დროის გერმანეთში ტყვეთ წაყვანილ ეგვიპტელ ბრძენს ჰგავდა.

ირგვლივ შემოქმედების საიდუმლოების შიში მეფობდა, როდესაც ის შავ ბუსავით ჩამოდიოდა რეპეტიციის დროს სცენიდან ნეზლობინის თეატრში და წყვდიადით მოცულ პარტერში მიუჯდებოდა ელექტრონის ლამპას.

იწყებოდა რეჟისორის მაგია აარონის კვერთხით.

ის თითქოს იძახოდა:

Я в дольный мир вошел как в
Театр взволнованный погас.
И я один лишь мрак уревожу.
Живом огнем крылатых глаз.

თითონ ლეონიდ ანდრეევი კი ბნელ ლოჟიდან უყურებდა თავის „შავ ნიღაბების“ მეორე დაბადებას.

მაგრამ მარჯანიშვილისთვის ავტორი მხოლოდ ჰაეროდრომის პატარა პლაცია, საიდანაც ის გაფრენას იწყებს.

ერთ უკვე ისტორიულ დისპუტის დროს თეატრზე ანდრეი ბელიმ დახატა თეატრი სამკუთხედათ, რომლის კუთხეებში მოემწყვდნენ: ავტორი, რეჟისორი და მსახიობი. თითეული კუთხის წარმომადგენელი ეპატრონებოდა თეატრს.

არ დასთმო ანდრეი ბელიმ.

არ დაიხია უკან მარჯანიშვილმაც.

თითქმის თენდებოდა, რომ ბელი როგორც ცხელ ქალდეას მოციქულს, მარჯანიშვილს ინსტინქტის ძლიერებით დანათის ანთებულ სრულ სისხლიან ეპოქებისადმი მოკრძოება.

მან შეაუღლა ლუი XIV სტილი და ოფუენბაგის ელლადა,

ელენეს და პარისს პაემანი გაუმართა როკოკოს ოქროს საწოლზე, რომელსაც მთელი სცენა ეჭირა.

ყვითელ კოფთით მან აღმართა ჩინეთი სფინქსი. ჩინური სურნელება და ფიზიოლოგია. მათი გილიოტინა მოგვანათა.

გოგოლში იგი კოშმარმა კი არა—უკრაინის ალუბლის ფერადებმა და ფიროსმანის წმინდა პრიმიტივმა მოჰხიბლა.

როდესაც ირონიის ქძაფმა გაიტანა ყველა ილლიუზიები, როდესაც მოლიერის, თვით შექსპირის ნიღაბებმაც ფერი იცვალა და მარჯანიშვილის მზით გაგიჟებულ სულს შემოუტია ფაუსტურ კულტურის კრიზისებმა მან საშინელების მოგიერება დაიწყო ჯმიკურ ოპერის ჯადოთი.

იმ დროს მას უხდება ისევ თავის სტრატფორდში—ქართულ თეატრში—დაბრუნება.

აქ მას ელოდა გზა-ჯვარედინზე მყოფი ახალ საქართველოს თეატრი.

ძველი გვარდია მის თითქმის მთელი შემადგენლობით კედლებიდან მოზირალ პორტრეტთა გალერეათ დახვდა.

აქ დიქტატორს ბრძოლის მაგიერ აღმშენებლობა უნდა დაეწყო.

მზის ქვეყანაში მან შეანელა ჩვენი მზით გახელება და დიდი ექსპრესიის ძალა მისცა ქართულ სანახაობას.

გიორგი ერისთავის სოფელი, ანტონოვის თფილისი მან დაგვანახვა ისე, როგორც ალბათ, თითონ ერისთავს და ანტონოვს არ ზმანებიათ.

უცხო თეატრი მან დაამყნა ქართულ სულს საკვირველ ძალით, რადგან „უცხო“ მისთვის არ არსებობს.

ის კულტურათა ამაყ დროშების მისალმებაა.

მაგრამ მარჯანიშვილის ჯადოქარ სულს მაცდურად უდარაჯებენ და საბოლოოდ დაატყვევებენ.

მთაწმინდელი და რევოლიუციის რაინდობა—ელიან, რომ მუსიკის სულით ატყორცნილება ფაუსტის ელდასავით გრიგალით გაიარონ კოტე მარჯანიშვილისა გაფრენილ მაგიაში.

მან უნდა მისცეს ქართულ ნიღაბს რუსთაველის ბროლის სიზმრების და დღევანდელ საქართველოს სინტეზის თეატრი, კახური მზით დაისრული და იმერულ ხალისით გალიმებულ.

ალი არსენიშვილი

ქართული თეატრი ახალ პოზიციაზე

წარსული წლის გლადიატორობა დარჩება ქართულ თეატრს.

თეატრი თავისი ბუნებით კონსერვატორია: გვიან ეგუება ახალ ფორმებს.

პირველი გაელვება და ქუხილი ისმის პოეზიაში და შემდეგ შეარყევს სცენას უკვე დაწმენდილი სიტყვა.

ეს მართებულიც არის რამდენად თეატრი სიტყვის სხეულის მომცემია. ქართული თეატრი ვერ აცდებოდა საერთო ბედს.

ქართულმა პოეზიამ შვიდი წლის წინეთ გახეთქა მოჯადოებული წრის ჯებირები და ავიდა გიმალაის მწვერვალებზე, სადაც იწერება ფანტასტიური უვერტიურა დიდი სიმფონიის, რომელსაც ცისფერი ყანწების ორდენი ეწოდება.

— ჯერ არსად მოსჩანს ის გიენებიც კი, რომლებიც ყოველთვის ლომის ნაკვალევს მოყვებიან—სიტყვები ნიკოლოზ გუმილიოვის, შეიძლება სავსებით მიუყენოთ ქართულ სინამდვილეს

პოზიცია, რომელიც გაამაგრა ცისფერმა ყანწებმა პოეზიის მარცხენა ფრთაზე რჩება ჯერ მიუვალი და გოშიების ყეფა მთვარეს ვერ ჩამოაგდებს.

ამ ფალანგაში იქმნება ლეგენდა, რომელშიაც ყოველ ძმს უკვე „საკუთარი ხმისაც კი ეშინია“.

აუცილებელი იყო ხილვა რევოლიუციის გრიგალის ქართულ თეტრში, მოკავშირის ჯვაროსნულ ომში.

ასეთია **კოტე მარჯანიშვილი**.

წარსული წელი ქართული თეატრის ისტორიაში შეიძლება დახასიათდეს როგორც გენერალური ბრძოლა სცენისა და დარბაზსა, რეჟისორისა და ქართული თეატრის **უპრინციპობის** შორის.

საჭიროა ფრჩხილების გახსნა: ვგულისხმობ რა თქმა უნდა ესთეტიურ უპრიციპობას, დომხალს.

ქართულ თეატრს ჰქონდა საკმაოდ ძლიერი ეროვნული პათოსი, გმირული ეპოქა, რომელშიაც იყო სუნთქვა წარსულ საუკუნეთა არომატის, უფრო შემოდგომის, ვიდრე გაზაფხულის, მაგრამ უფრო ძლიერი იყო მეორე ხაზი, სადაც იშლებოდა ეროვნული ხაზი და მოდიოდა სისხლნარევი, დეგენერაციის პუდრით შეთითხნილი თეატრი სამ იარუსიან პერსონაჟის.

პირველ შემთხვევაში იყო გმირული კივილი და მოწოდება, მაგრამ არ იყო სრულიად დაცული ფორმალური პოზიციები, რაც ქმნის თეატრალურ გიპნოზს.

მეორე შემთხვევაში კი უფრო ქართული თეატრის წარღვნასთან გვაქვს საქმე. ცხადია ასეთ პიროებში დარბაზის მუხლებზე დაცემა ნოვატორს ძლიერ გაუჭირდებოდა.

უნდა ითქვას: ბრძოლა რეჟისორის გამარჯვებით დასრულდა, სცენამ სძლია დარბაზის მეშჩანურ გამძლეობას და ძვალ-რბილში გამჯდარ ფილისტერობას, დაობებულ და აშმორებულ უსისტემობას მაღალი გილიოტინა დაუდგა.

კოტე მარჯანიშვილის ქართული სასცენო ხელოვნების პეტრე-დიდია, რომელმაც ჩვენი თეატრი გამოიყვანა პროვინციალურ ორღობეებიდან და წარმართა რადიუსით, რომელიც ევროპის ტანზე გადადის: ჩვენი თეატრი თანამედროვე მიღწევებით აამეტყველა.

მართალია ქართული თეატრის ოფიციალურ დღესასწაულად 2 იანვარია დაკანონებული, მაგრამ არის მეორე დღესასწაული, რომელიც დგას, როგორც კავკასიონის უღელტეხილი, საიდანაც ახალი დიქტატორი სწერს ესთეტიურ დეკრეტებს ჩვენი სცენისათვის.

ეს დღესასწაული ხვდება ბრძოლის პირველ დღეს, „ცხვრის წყაროს“ პირველ წარმოდგენას. იგი ჩაიწერება ისტორიაში, როგორც ჩვენი თეატრის ახალი ეპოქის დიწყების დატა.

საარიერგარდო შეჯახებაში გადაწყდა ბრძოლის ბედი: იყო დაუსრულებელი ოვაციები დღის ტორეადორის წინაშე. „ცისფერ ყანწების“ ნიკიშმა პოეტმა **პაოლო იაშვილმა** გაუხსნა გზა აღფრთოვანებას და როგორც დაგეშილი წევრები მიუსიანა სცენას თავისი ჩვეულებრივი ტემპერამენტით პირმოპირული სიტყვები. ბარიკადებზე ქართულმა ახალმა დამდგარმა პოეზიამ ნახა თავისი მოკავშირე.

აქედან დაიწყო ქართული თეატრის განახლება, ფერისცვალება და მარცხენა ფრონტით სიარული.

არიან პირები, უნიჭო პიესების ავტორები, რომლებიც ეროვნულ ხაზის გაწრაზე ლაპარაკობენ და ბანალობამდე დასული შენიშვნებით დაძვრებიან ფსევდონიმებში: ასე ებრძვიან ადამიანს, რომელმაც ამოიყვანა ქართული თეატრი უფსკრულიდან, გადაარჩინა გადაშენებას, იმიტომ, რომ პიესა დაუწუნეს.

ისტორიული ფაქტი კი ასეთია: კოტე მარჯანიშვილმა გარდა იმისა, რომ დაარღვია სრულიად თეატრის განსხეულობის ძველი საშუალებები, გამოვიდა როგორც დიდი ნოვატორი, ახალ ღირებულებათა შემქნელი და ახალი სათეატრო შემოქმედი—ცხად ჰყო მანამდე დაფარული ქართველი რასიული თვისება. გახელება სამხრეთის სიცხეში.

ეს არის ქართული კარმენიადა.

„ცხვრის წყარო“-ს წარმოდგენა ამ მხრივ დიდ მასალას წარმოადგენს ქართული შინაგან ექსპრესიის, მისი ალვირ ახსნილ ფერების, გასაშენი ელიად. აქ ქართული თეატრი თავისი ფერებით, დინამიკით მოძრაობაში, სულიერ აღტყინებით და მისი გამოხატვის გარეგნული საშუალებებით ევროპის თეატრის გვერდით დადგა ეს იყო უდიდესი გამარჯვება და იგი აღნიშნა თავის წერილში ჩვენმა თანამემამულემ სუმბათაშვილმა.

ამ პიესის დადგმით კოტე მარჯანიშვილმა მისცა ქართულ თეატრს ის რაც მას არასოდეს არ ჰქონია, და რაც თანამედროვე თეატრის ძარღვს წარმოადგენს:

ორგანიზაცია,
დისციპლინა,
ტეხნიკა,
ეკონომია.

ცხადია, ყველაფერი ეს არ არის ბოლომდე დაყვანილი, არ არის სავსებით გამოყენებული, მაგრამ ეს დგას რეჟისორის პათოსის გარეშე. თეატრის აკადემიურობა ვერ მისცემს მას საშუალებას მივიდეს მარცხენა ფრთის უკანასკნელ წერტილამდე, მაგრამ უმთავრესი რაც მისცა ქართულ თეატრს ამ პირველი დადგმით ეს არის **არტისტი** მოხაზულ სცენიურ ტაქტით და მხატვრული გემოვნებით.

პირველი გამოსვლა არტისტის (ამ წარმოდგენაში) როგორც კოლექტიურ პიროვნების დარჩება ულამაზეს დეკორაციად ქართულ თეატრში.

მას ამიერიდანმიეცა შინაგანი რწმენა წარმოიდგინოსმთელიევროპა როგორც სცენა, სადაც თამამად შეუძლია გამოსვლა. მან იგრძნო, რომ ძარღვებში მომსკდარია „სისხლი და არა წყალი“. ქართველი არტისტის ემანსიპაცია რეჟისორის [illegible] კიდევ ახალი, რაც ქართულ თეატრს წინეთ არ დასიზმრებია: ეს დრამის მუსიკალური ილიუსტრაცია, რაც კიდევ უფრო ზრდის ეფექტს და წარმოდგენას აძლევს ფეიერვერკის სინათლეს. შემდეგ: **გრიგოლ რობაქიძის** ლონდა, სადაც გაიმართა ტრაგიული დუელი. სცენის დიდ ოსტატსა და სიტყვის სადასაის შორის.

ამ დუელის შესახებ ბევრი ითქვა თავის დროზე.

ლონდა თავისი ფინალით ლილეოთი დაადგა ქართულ სცენას როგორც გახელებული მზე.

ამ დადგმით ქართულმა თეატრმა იხილა და მიიღო როგორც სისხლი ახალი სცენიური ღირებულებანი:

რიტმი და სიტყვის თუ მოქმედების **პლასტიური** გაშლა,
მასსა,

რომლებიც აგრეთვე არასდროს არ ჰქონია ქართულ თეატრს.

აქ ჩვენ წინ გაიელვა ორმა რეჟისორმა სიტყვისა და სცენისა, რომლებსაც როგორც ნერონს, შეუძლიათ თავის ქალებში დაანთონ ფოსფორიული ცეცხლი და მით გაანათონ თეატრი. ამ ცეცხლის ცხუნება მეტად გამძლე იქნება. აქედან დაწყებული ქართული თეატრი მიდის გამარჯვებათა საფეხურებით, რომლის მწვერვალი ჯერ კიდევ შორს არის.

ერთ-ერთი საფეხური გამართულია შემდეგი წარმოდგენით: „მზის დაბნელება საქართველოში“. ვის შეეძლო ამ პიესის მოსმენა ბოლომდე, ვისი ნერვები გაუძლებდა ამ არქეოლოგიურ ნაშთს, მაგრამ რეჟისორმა რჯულმდებელმა მას ახალი სიცოცხლე მისცა, და წარმოდგენაც მიუხედავათ იმისა, რომ იგი არ ეგუება მარჯანიშვილის სტიქიას, გამარჯვებით დასრულდა. ეს არის სცენის დირიჟორის ჯადოქარობა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქართულმა თეატრმა ამ პერიოდში საუკეთესოდ გამოიყენა მხატვარი თავისი მეტყველი ფერებით.

ამ მხრივ ქართული თეატრის აღორძინებაში უეჭველად თავისი ღირსეული ადგილი უკავია **სიდამონ-ერისთავს**.

„ინტერესთა თამაში“ ამაგრებს ქართული თეატრის წელს, ისევე როგორც „გმირი“.

ეს იყო სრულიად ახალი სიტყვა ჩვენ სცენაზე წარმოთქმული. რეჟისორი აქ უფრო თავის რკალში გრძნობდა თავს და ამიტომაც მეტი სცენიური ეფექტით შეამკო იგი.

ბუტაფორიული სტილი ქართულ თეატრში. საჭირო იყო მარჯანიშვილის გამბედაობა, სტიქიური ძალა, რომ ქართულ საზოგადოებაში შემოეტანა „ინტერესთა თამაში“-ს სტილი, სადაც მოქმედება ცხოვრების გამასხარავებამდე დადის თითქოს.

თავის დროზე იყვენ უკმაყოფილონიც ამ წარმოდგენით.

„სანახაობა“-ა მეტი არაფერი-ო.

სხვა არც იქნება თანამედროვე თეატრი. სანახაობის სინამდვილის შექმნა ეს მიზანია ახლა.

ყველაზე უფრო რაც სჭრიდა თვალს ქართული თეატრი ამ წარმოდგენით ეს მისი ტეხნიკური გამართვა, არტისტის ელასტიურობა, და თხილის წვნელივით დალევნთა.

მახსოვს როგორ შეეგებენ აა წარმოდგენის შემდეგ ქართველი არტისტები თავის საყვარელ ხელმძღვანელს ქიმერიონში პატარა ბენკეტზე.

თითქმის რესპუბლიკანური გაამაყებული გვარდია შეხვდა ქვეყნის უდიდეს რეჟისორს ნაპოლიონს.

არტისტი კი ყოველთვის არის თეატრის ბარომეტრი, არ არის დრო ქართული თეატრის ამ ტრიუმფალური სვლის სრული სურათის მიცემის.

ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ ამ სვლაში პირველ კალონაში დგას ქართული მემარცხენე პოეზია:

სალომეია,
ინტერესთა თამაში,
გმირი,
კაცია მასსა და რაც მთავარია.
ლონდა
კარდუ.
მალშტრემ.

ეს არის ცისფერ ყანწების ძღვენი ქართულ აღორძინებულ თეატრში მიტანილი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს რეჟისორი **ალექსანდრე ახმეტელი**. ჩვენ უყურებთ და ვაფასებთ მას, როგორც მარჯანიშვილის მემკვიდრეს ქართულ თეატრში, ახალი ტრადიციების მწვერვალზე ამტანს.

თავისი თეატრალური ღრმა ინტუიცია და მაღალი ტემპერამენტი მან პირველად სალომეიაში გადმოღვარა.

ამ წარმოდგენაში უკვე გამოჩნდა ნოვატორი რეჟისორი, რომელმაც ცეცხლი წაუკიდა დაგროვილ შაბლონებს და სცენას ახალი სურნელება მისცა.

მეორე დიდი გამარჯვება [illegible] მან მარჯანიშვილთან ერთად „გმირში“ და გამოვიდა მართლაც როგორც გმირი ქართული თეატრი ალექსანდრე ახმეტელი იმ ტიპის რეჟისორია, რომელსაც ელის ბედნიერება იყოს ქართულ თეატრში განსახიერებულ სიმფონიის ავტორი.

ჩვენთვის იგი ყოველ შემთხვევაში მომავალის იმედია გამარჯვება ხვდა წილად აგრეთვე რეჟისორ ქორელს, რომელმაც დადგა „კაცია მასსა“ ამ პიესით უკეთესი ეფექტის შექმნა შეუძლებელია. ვინაიდან მასში არ არის შინაგანი დინამიკა, მოქმედების განვითარება.

აკაკი ფაღავამ საბოლოოდ გაუმაგრა ძირი ქართული თეატრის მომავალის სათეატრო ინსტიტუტს. აქ გადაიტანა თავის იმოქმედების ცენტრი. ალე ვიხილავთ ინსტიტუტის სანიმუშო წარმოდგენებს. და მაშინ გვექნება შეძლება ვრცლად შევეხოთ მის დამსახურებას, და ადგილს რომელიც უკავია აღორძინებულ თეატრში.

ცეზარის ლეგიონერების სიამაყით მიდიან ქართველი არტისტების ახალი პოზიციების დასაპყრობად.

ვერიკო ანჯაფარიძე, მხოლოდ ორ წარმოდგენაში ვიხილეთ „ინტერესთა თამაში“, და გმირში“ ორივეში გაისმოდა მისი დაწმენდილი ხმა, როგორც პირველი სკრიპკის.

ვფიქრობ თავისი მიღწევით იგი ყველაზე უფრო თანამედროვეა დაწვლილებული, გემოვნებით, არტისტიული ნერვით, და პოზით რომელიც უეჭველად მოქმედობს დარბაზე როგორც გიპნოზი.

თამარა ჭავჭავაძე—ქართველი კარმენის ტრადიციის შემქნელი, კიდევ უფრო გაიმაგრა ხმა გმირში.

აკაკი ვასაძე მხატვარი არტისტთან ერთად დაჯილდოვებულია ყველაფრით, რომ იყოს ქართული თეატრის ენერგია და გული. წარსული წელი მისთვის გამარჯვებათა დღესასწაულებათ იყო დაფარული.

ასევე **გიორგი დავითაშვილი ელენე დონაური** და უფრო ახლებიდან: **უშ. ჩხეიძე. მჟავია, მ. ლორთქიფანიძე დავით ჩხეიძე, ვ. ჯიქია, ალვა ღამბაშიძე** და სულ ახალი მგრამ მაგარი **აკაკი ხორავა** ყოველი მათგანი ღირსეული მეომარი იყო დაწყებულ ჯვაროსნულ ომში.

იერუსალიმი კიდევ შორს არის, მაგრამ იმედი ქვაქვს რომ იგი აღებული იქნება საბოლოოდ.

აღსანიშნავია აგრეთვე ახალი იმედები სათეატრო ინსტიტუტიდან **ველინტა ჯორჯაძე, ალიკო მრევლიშვილი, ხათუნა ჭიჭაძე. თამარა წულუკიძე, გორსიაშვილი. მახაგაძე, მურღულია** და სხვ.

შალვა აფხაიძე.

სანდრო ცირეკიძე და შალვა კარმელი

„ცისფერ ყანწებს“ აქამდე არ აქვთ ერთი დღე დანიშნული, რომელიც შეწირული იყოს. ორდენის ხსენებისთვის. ჰუშკუნის 19 ოქტომბერი, (რომელიც დიდებულად სთარგმნა პაოლო ჩაშვილმა) ყანწებს ჯერ არ დადგომიათ. პირიქით ყოველი დღე ანწების ერთად შეხვედრის აღნიშნულია ამ სამუდამო გამოძახებით (ლა ფორგის და პუშკინის „პერევლიჩკა“). შეიძლება უმირპერბელოთ ითქვას, რომ არც ერთი დღე წელიწადში არ წავა ისე, რომ ერთად შეხვედროდი ყანწელები არ ახსენებდენ „ყანწელებეს“ მთლიანად. შარშანდელი წელი ძალიან სასტიკი იყო ყანწებისთვის: თითქმის რამდენიმე თვის განმავლობაში ორდერმა დაჰკარგა ორი ძმა: სანდრო ცირეკიძე და შალვა კარმელი. ორივე გაიონია ხელში ტუბერკულოზმა, რომელსაც ყოველთვის უყვარს ახალგაზრდა და ათრთოლებელი გული. შალვა კარმელის დასაფლავებაზე მოგზაურობა ქუთაისში „ცისფერი ყანწების“ ახალ მწერლობის კავშირის. სხვა წლებთან ნამდვილი ეპოპეია იყო. ამაზე კიდეც ბევრი დაწერილა: მეორე პატარა უბედურება „აგვისტოსი“ სანდრო ცირეკიძის სიკვდილი ტფილისში მისგან გახსნა მწერალთა ახალ პანთეონის იყო უკვე სიკვდილს შეჩვეული პოეტების დატირება. თვითონ „ბარიკადები“ გული ისხმოშენ სანტიმენტალიზმის რეაქციას და ატარებასაც ზედმეტია მაგრამ ყველაფერზე უფრო გულწრფელია, მაინც დატირება ჯერ კიდევ ყმაბავშების, რომელთაც ისე უდროვოდ გაათავეს თავიანთი სიცოცხლე.

ეს დღეც „ბარიკადის“ განახლების: იმ „ბარიკადები“-ს, რომელზედად ყველაზე უფრო სწორედ ისინი იბრძოდენ, მოგონებაა მათი წიგნების გამოცემის. და მათ დახსნილ კუბოებს აგრეთვე დამგავსებიან პატარა წიგნები „პატარა კუბო ნაღველისა და სევდის...“

ო, ჩვენ პოეტები და მეგობრები ამაღამაც წარმოგვიდგივეთ ინიკენტი ანენსკის ატირებით:

Я, тот посыльный, что в
Новый год
Орхидей вам несет, дыша
в башлык оледенелый.

სანდრ. ცირეკაძის და შალვა კარმელის მთვარეული სულები ქერუბიმის ფრთებათ ადგას „ყანწების“ სიწმიდეს და პოეზიას...

ვარამ გაგელი.

ბიბლიოგრაფია

გრიგოლ ცეცხლაძე. პოეტის ყეფა. წიგნი ლექსების ტფილისი 1924 წ.

გრიგოლ ცეცხლაძის ამ წიგნში უმთავრესად მოქცეულია ახალი ლექსები, რომელიც პოეტს დაუწერია 1922—23 წლეებში. იმ პოეტების ჯგუფიდან, რომელთაც ერთხელ ქუთაისში გამოუშვეს ჟურნალი „აისი“ გრიგოლ ცეცხლაძე განირჩეოდა თავისებურობით. ჟურნალში დაბეჭდილი იყო მისი ორი ლექსი პოეტობის შემდეგ დაიშალა: რაჟდენ გვეტაძე, ნიკოლო მიწიშვილი და შალვა კარმელი შეურთდენ „ცისფერ ყანწებს“. გრიგოლ ცეცხლაძე დარჩა განმარტოებული. ის ტფილისში სცემდა თავის ჟურნალს „თოლაბულისის სარტყელს“. ამ ჟურნალში უმთავრესად თვითონ ცეცხლაძე იყო შემოსილი აქ დაიბეჭდა მისი ლექსი „გაჭიანებული მონუმენტი“, რომელშიც ამ თავითვე [illegible] ცია განსაკუთრებით პოეტების ყურადღება. შემდეგ გრიგოლ ცეცხლაძემ საკუთარი [illegible] ჰქონია. ამ წლებში [illegible] ნაგანი [illegible] ძიება [illegible]. წიგნი „პოეტის ყეფა“, უსათუოდ ნიშნავს ამ ეგ გზას. გრიგოლ ცეცხლაძე [illegible] ფუტურიზმს, [illegible] და [illegible] რომელიც ჯერ კიდევ განსხვავებულ ლექსების წრ-

რას და საბოლოოდ არ გაქვითებია პოეზიას და გონებას, როგორც კრუჩიონიხმ და ილია ზდანევიჩი. ამ ფრთას წინაც ბელადობდა ვადიმ შერშენევიჩი, რომელიც შემდეგ იმ აჟენისტებში ჩაეჭერა და ბოლომდე მეთაურობს ვლადიმირ მაიაკოვსკი. ყოველ შემთხვევაში პოეზიაში ისე სჩანს, თუმცა თვითონ თანამედროვენი უფრო მეტ როლს აკისრებენ დავიდ ბურლიუკს და ველემაი ხლებნიკოვს. დასრულება ამ რკალს მისცა ფრანგულმა დადაიზმა, რომელმაც ფრანგულ ფორმაში ჩამოისხა ის ძიება და ველური სტიქია რომელიც შეიძლება ფორმალურად უფრო რუსებმა დაიწყეს, უფრო შკოლის გამოკვეთით. იდეა და ფორმა ჯერ კიდევ არტურ რემბომ და ლაფორგმა შემოფარგლეს. გრიგოლ ცეცხლაძის „პოეტის ყეფაში“ უთუოდ ასანიშნავია ახალი ხაზი, ქართულ პოეზიაში, თავისუფალი ირონია და ლექსის მოგრეხა. მართალია ხანდისხან არის ნაივობაც და ირონია გადადის იუმორში, მაგრამ უმთავრესს ტემებში გრიგოლ ცეცხლაძე მაინც გამარჯვებულია: შეიძლება პირდაპირ შედევრი იყოს მისი „კვირა დღე ტფილისში“. აშკარაა, რომ გროგოლ ცეცხლაძეს მარტო ორიგინალობის სურვილი კი არ აწვალებს. არამედ ამის მიღწევებიც. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ის უფრო დაიწმედავს ხმას და დაიმორჩილებს ტემებს: ყოველ შემთხვევაში მისი სახით ძლიერი კონკურენტი გაუჩნდათ ფუტურიზმის დეკლარაციით გატაცებულ ახალგაზრდობას...

ქრონიკა

ზაქარია ფალიაშვილი. ზაქარია ფალიაშვილმა დასწერა და სახელმწიფო ოპერაში დაიდგა ოპერა „დაისი“. ხალხი ოპერას აუარებელი ესწრება ორ კვირაში წავიდა ექვსჯერ.

სიუჟეტი ოპერის ძალიან მარტივია, თუ ოპერამ სავსებით ვერ გაიმარჯვა შეიძლება სწორედ ამის ბრალი იყოს.

კ. მარჯანიშვილმა ამ ოპერის დადგმაში დიდი ოსტატობა გამოიჩინა. მისივე ხელმძღვანელობით დახატული ვ. სიდამონ ერისთავის დეკორაციები მშვენიერ ჩდაბეჭდილებას სტოვებენ.

გრიგოლ რობაქიძის ახალი დრამა. გრიგოლ რობაქიძემ დასწერა ახალი დრამა „მალშტრემ“. ექვს სურათად, ავტორმა თავისი ახალი დრამა წაიკითხა ქართველ დრამის რეჟისორებისა და მსახიობთა წრეში.

დამსწრეებზე დრამამ დიდი ჩდაბეჭდილება დასტოვა.

განზრახულია მოკლე ხანში რუსთველის თეატრში კ. მარჯანიშვილმა დადგას ეს პიესა და აგრეთვე პარალელურად რუსეთის ერთ ერთ თეატრში. გაიგზავნოს დასადგმელად.

დრამა შემდეგ ნაწილებიდან შესდგება: 1, ფენამენალოგია, 2. Amor fati, 3. კეთხოვანთა დედოფალი, 4. დადაისტების მოედანი. 5. ევნო აზეფი.

„ბარრიკადის“ ერთ-ერთ შემდეგ ნომერში დაიბეჭდება „დადაისტების მოედანი“.

წიგნი კ. მარჯანიშვილზე. ხელოვანთა მთავარ კომიტეტს განზრახული აქვს გამოსცეს წიგნი რეჟისორ კოტე მარჯანიშვილზე: წიგნში დახასიათებული იქნება კოტე მარჯანიშვილის როლი მსოფლიო და ქართულ თეატრალურ შემოქმედებაში. ამ წიგნისთვის კოტე მარჯანიშვილის პორტრეტებს ხატავენ: მოსე თოიძე, კ. სიდამონ ერისთავი, ი. გამრეკელი, ო. შარლემანი და ვერა ლებედევა.

შამილი ეკრანზე. ტიციან ტაბიძე ამზადებს კინოსთვის შამილის სცენარის: ეკრანზე მიცემული იქნება მთელი შამილის ეპოქა და ძველი ტფილისი: სახელმწიფო კინოტრესტთან ტიციან ტაბიძე აწარმოებს მოლაპარაკებას, რომ შეიყიდოს ეს სცენარი ახლო-მომავალში დასადგმელად.

2. იანვარი. 2 იანვარი ტრადიციული დღეა. ქართულ თეატრის. ამ დღისთვის მზადდებოდა „ვეფხვის ტყაოსანი“, რომელსაც სდგამდა კოტე მარჯანიშვილი. მაგრამ ვერ მოესწრო. ეხლა დაიდგმება მალიერის პიესა. ამ დღეს მსახიობთა კავშირი სცემს დიდ ტანიან ჟურნალს „სახიობა“, რომელშიაც იქნებიან მოთავსებული წერილები ქართულ თეატრზე და დადგმულ წარმოდგენების ფოტოგრაფიული სურათები. ჟურნალის რედაქტორია: აკაკი ფალავა.

1. ტოლლერის ახალი პიესა. რეჟისორი ალ. ახმეტელი ამზადებს ქართულ სცენაზე დასადგმელად ს. ტოლლერის პიესას „ევგენი უბედური“. პიესას სთარგმნის ვარამ გაგელი.

სახელმ. გამომცემლობაში. სახელმწიფო გამომცემლობის ლიტერატურის სექტორი ამ მოკლე ხანში გამოუშვებს დაბეჭდილ შემდეგ წიგნებს: ვაჟა-ფშაველა მე-II ტომი, ალ. ყაზბეგის ორ ტომათ, აკაკი წერეთელს II ტომათ და ივ. მაჩაბლის ნათარგმნ შექსპირის 8 ტრაგედიას.

გრიგოლ ცეცხლაძის წიგნი. დაიბეჭდა და გამოვიდა გრიგოლ ცეცხლაძის ლექსების წიგნი „პოეტის ყეფა“. წიგნი უმთავრესად შესდგება დაუბეჭდავ ლექსებიდან. არის მოზრდილი ფორმატისა და ლამაზად გამოცემული. წიგნს დართული აქვს ახატვარ ი. გამრეკელის დახატული გ. ცეცხლაძის პორტრეტი.

ქართული კალენდარი. სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა გასაყიდათ ქართული კალენდარი 1924 წ. კალენდარი შეადგინა პ. ზუმბაძემ.

რედაქტორი: **ტიციან ტაბიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის წითელ ჯვრის საზოგადოების
ახლად გახსნილი
სტამბა
დუმბაძის სახელობის ქ. № 3
(ყოფილი ველიამინოვისა.)
იღებს ყოველგვარ სასტამბო და სალითოგრაფიო შეკვეთებს
შესრულება სწრაფად და სუფთად
იღებს შეკვეთებს საკანცელარიო ნივთების დამზადებისთვის
წით. ჯვრის პრეზიდიუმი

სახელმწიფო შემნახველი შრომის
კასები
ამ დღეებში იწყო მოქმედება სახელმწიფო შემნახველმა კასებმა.
ძირითადი დანიშნულება შემნახველი შრომის კასებისა არის დაცვა პროლეტარიატის ნაოფლარისა გაფასებისაგან
გაუმჯობესება, რომელსაც მიაღწია საბჭოთა ხელისუფლებამ მრეწველობის გამოცოცხლების დარგში და აგრეთვე სახალხო მეურნეობის აღდგენის საქმეში, იძლეოდა ამ უკანასკნელ წლებში მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალებას.
მშრომელთა მოთხოვნილებანი საგრძნობლად გაფართოვდა
თუ უწინ პურის ულუფის მიღება ოცნებას წარმოადგენდა, ეხლა ფეხსაცმელის, ტანისამოსის და სხვა მოთხოვნილების დაკმაყოფილება მორიგ საქმეთ ითვლება.
ამისთვის საჭიროა მომჭირნეობა ნაოფლარისა, მაგრამ მანეთის კურსი ეცემა და მოგროვილი ფული არ არის საკმარისი გაძვირებულ საქონლის შესაძენად.
მუშათა და გლეხთა მთავრობამ, რომელიც იცავს მშრომელთა ინტერესებს, გახსნა შემნახველი შრომის კასები.
თუ მშრომელი შემნახველ კასაში შეიტანს ფულს, ის დაზღვეულია გაფასებისაგან
შეიტანს რა კასაში 20 მილიონს, ერთი თვის შემდეგ შემტანი მიიღებს იმდენ მილიონებს, რამდენიც ღირს ის საქონელი, რომლის ყიდვაც მას შეეძლო ერთი თვის წინეთაც 20 მილიონათ.
გაიზრდება ფასები საქონელზე, და მუშაც მიიღებს იმდენათვე გადიდებულ ფულის ნიშნებს კასიდან.
ამას გარდა შეტანილ ფულზე შემტანს ეძლევა 3 პროცენტი.
სახელმწიფო შემნახველი შრომის კასები არამც თუ აზღვევს მუშების ნაოფლარს, ამასთანავე ის იძლევა საშუალებას ჯამაგირის დაზოგვით ხარჯვისა, ეშინიათ რა მანეთის გაფასებისა და საქონლის გაძვირებისა, მუშები და მოსამსახურეები იჩქარიან აღებული ფულით რაც შეიძლება მალე შეიძინონ საქონელი, რაც იწვევს საქონლის გაძვირებას. ეხლა არ არის საჭირო შრომის ნაოფლარის დახარჯვის სიჩქარე.
რაკი ფული შეტანილია კასებში, მისი ფასი არ ეცემა; ყველას შეუძლია თავის დროზე იყიდოს ის, რაც ესაჭიროება.
შემნახველი კასები პირველ რიგში გაიხსნება მუშათა რაიონებში.
შემნახველი შრომის კასები მოწოდებულია ემსახუროს პირველ რიგში მშრომელთ. ისინი მოაწყობენ მუშაობას ისე, რომ უფრო ხელმისაწდომი იყოს მუშა-კაცისათვის. იმუშავებს იმ დროს, როცა მშრომელს შეუძლია კასაში მისვლა, შეიტანოს
ან მიიღოს ფულები დაუბრკოლებლად.
შემნახველი კასები, შეაგროვებენ რა ფულს, დაეხმარებიან საბჭოთა სახელმწიფოს შეამციროს ახალი ქაღალდის ფულების გამოშვება, ე.ი. დაეხმარებიან იმაში, რომ მანეთის კურსი გახდეს უფრო მტკიცე, რაც საჭიროა მთელი სახალხო მეურნეობისათვის და პირველ რიგში მშრომელი ხალხისთვის.
დააზღვიეთ თქვენი ნაოფლარი. მოათავსეთ ფულები შემნახველ კასებში.
კასა გაიხსნა ა. წ. 15 ოქტომბრიდან ხაზინასთან.
პირველი კასის გამგე ბახტაძე.

განზრახულია გამოიცეს
1924 წლის 2 იანვრისთვის
სრულიად საქართველოს მსახიობთა კულტურული კავშირის ჟურნალი
სასცენო ხელოვნებისა

„სახიობა“

რომელშიაც მოთავსებული იქნება: თეორიული და პრაქტიკული ხასიათის წერილები შესახებ სასცენო ხელოვნებისა, საზოგადოთ და კერძოთ—ქართული სცენისა; აგრეთვე—სცენის მოღვაწეთა სურათები, დადგმანი, სხვა და სხვა ნახატები, დრამატიული ნაწარმოებნი, ბიბლიოგრაფია, რეცენზიები და სხვა.

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ ყველა ჩვენი მწერლები და თეატრის მოღვაწენი.

რედაქტორი: **აკაკი ფაღავა.**

გამომცემელი: სრულიად საქართველოს მსახიობთა კავშირის საბჭო.

რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 21.—ბინა სახელმწიფო სათეატრო ინსტიტუტისა.

სავალდებულო დადგენილება № 46

ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტისა

24 დეკემბერს 1923 წ.

ქალ. ტფილისში შემოღებულ იქნას გადასახადი გვიან ვაჭრობის ნებართვებზე.

1) გვიან ვაჭრობაზე გადასახადი გადახდება ყველა იმ სავაჭრო დაწესებულების (რა დარგსაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი, გარდა ამ დადგენილების მესამე მუხლში აღნიშნულ გამონაკლისთა) მეპატრონეთ, რომელნიც აწარმოებენ ვაჭრობას ნორმალურ დროს შემდეგ.

შენიშვნა: ნორმალურ დროთ, რომლის განმავლობაში სწარმოებს ვაჭრობა, ითვლება ის საათები, რომლებიც თვითეულ სავაჭრო დარგისათვის გათვალისწინებულია აღმასკომის მიერ 1923 წ. 17 მარტის № 5 სავალდებულო დადგენილებით.

2) გვიან ვაჭრობაზე გადასახადისაგან განთავისუფლებულია: აფთიაქი, აბანოები, სასტუმროები, მოწყობილი ოთახები და სააუქციონო დარაბები.

შენიშვნა: სასტუმროებსა და მოწყობილ ოთახებში არსებული ბუფეტები და რესტორანები იბეგრება საერთო წესით.

3) გვიან ვაჭრობისათვის თვიურად გადასახადი განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით:

1 ხარისხის სავაჭროებს 6 ჩერ. მან.
2 „ „ 12 „ „
3 „ „ 20 „ „
4 „ „ 30 „ „
5 „ „ 40 „ „

შენიშვნა: პურით, ხორცით, თევზით და მწვანეულობით სავაჭროებისათვის დაწესდეს 50 პროც. შეღავათი.

4) გვიან ვაჭრობის უკანასკნელ საათებათ ჩაითვალოს:

1) მანუფაქტურის, საგალანტერიო, თამბაქოს, წიგნის, საკანცელარიო ნივთების, საკომისიო, საიუველირო, ტანსაცმლის, ფეხსაცმელების, ტყავეულობის, ჭურჭლეულობის, რკინეულობის, სააფთიაქო საქონლის და ღვინის საწყობებისათვის შაბათობით და უქმე დღეების წინ საღამოს 7 საათი, დანარჩენ დღეებში, გარდა კვირა უქმისა, საღამოს 9 საათ.

2) გასტრონომიულ, ხილეულობის, საკანდიტროების, გამგრილებელ სასმელების და საბაკალეინოს სავაჭროთათვის ყველა დღეებში ღამის 12 საათ.

3) სატრაქტირო დაწესებულებათათვის ყველა დღეებში დილის 3 საათ.

4) საბაზრო მოედნებზე მოთავსებულ სავაჭროებთათვის (დარაბებში, ბუდკებში, მაგიდებზე) ყველა დღეებში ზაფხულობით (1 მაისიდან 1 ოქტომბრამდე) საღამოს 7 საათ. ხოლო ზამთრობით (1-ლ ოქტომბრიდან 1 მაისამდე) საღ. 6 საათ.

5) მოვაჭრენი, რომლებიც მოისურვებენ ნორმალურ დროის შემდეგ ამ დადგენილების მეხუთე მუხლით გათვალისწინებულ დრომდე ვაჭრობას, ვალდებული არიან განცხადებით მიმართონ აღმასკომის საფინანსო განყოფილებას და დაწესებული გადასახადით მიიღონ სათანადო მოწმობა, რომელიც უნდა გამოაკრან თავიანთ სავაჭროში თვალსაჩინო ადგილზე.

შენიშვნა: სატრაქტირო დაწესებულებათა მეპატრონეთ მიეცემათ გვიან ვაჭრობის ნებართვა მხოლოდ მილიციის სამმართველოდან სათანადო ნებართვის წარმოდგენის შემდეგ.

6) ამა დადგენილების მეექვსე მუხლში აღნიშნულ ნებართვის მიუღებლათ ან და დაწესებულ დროის შემდეგ გვიან ვაჭრობისათვის, დამნაშავენი დაჯარიმებული იქნებიან გადასახადზე სამჯერ მეტი თანხით, რომელიც გადახდება იძულებითი წესით.

7) მილიციის სამმართველოს ევალება თვალყური ადევნოს ამ დადგენილების სწორ-უცვლელათ ცხოვრებაში გატარებას.

ტფილისის აღმასკომის თავმჯდომარე **ხუხიშვილი.**

მდივანი **თიკანაძე.** კრ. 811 1—1

განცხადება.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის

მმართველობა

ამით აცხადებს, რომ **1924** წ. იანვრის **10** დილის **10** საათ. **ტფილისის სალიკვიდაციო საწყობში,** (გორის ქუჩა)

დაიწყება

საჯარო ვაჭრობა

მ ტვირთებისა და ბარგების, აგრეთვე ნაპოვნ და დავიწყებულ ნივთების გასასყიდათ, რომლებიც არ მოუთხოვნიათ სხვა და სხვა სადგურებზე.

ქვემოდ ნაჩვენებია ნომრები ამანათებისა და ადრესატები გასასყიდ ტვირთების და აგრეთვე ბაგაჟის №№

დაწვრილებით ცნობები ბარგების კუთვნილების შესახებ შეიძლება მიღებულ იქნას ტფილისის სალიკვიდაციო ი საწყობში **საჯარო ვაჭრობის** დაწყებამდე.

1. მოუკითხავი ბარგების გამომგზავნი სადგურის ჩვენებით №№: 134861—თელავი, 7219—ტფილისი, 176246—სუფსა, 172049—ბორჯომი, 23284 გურჯაანი, 54091—ერივანი და 144776—ხაშური.

2. მოუკითხავი ტვირთები ადრესატების ჩვენებით №№: 4319—მომთხოვნელს, 38962—მომთხოვნელს, 169591—მომთხოვნელს, 49223—მომთხოვნელს, 118056—упред. Касп. флот., 118055—მასვე, 25841—მომთხოვნელს, 646017—მასვე, 197360—მასვე, 93648—წყალის ოლქის ტეხნიკოსს—ბურჯანაძეს, 125915—მომთხოვნს, 253931—მასვე, 253930 მასვე, 461—გოგაევს, 50051—მომთხოვნელს, 4304—მასვე, 1209—მასვე, 20848—ვეტცფეისტს, 256676—კარპონოსოვს СОВЗАН კინოს რწმუნებულს, 66975—მურადოვს, 54144—ოსიპოვს, 136292—სახელმწიფო ბიბლიოთეკა, 114032—Закраикому Ц. Р. К. К. С. М., 1499525—გეგეჭკორს.

უსაბუთო ნაპოვნი ნივთები აქტით № 657, ნაპოვნი ნივთი № 467, ნაპოვნი ნივთი 468, ნაპოვნი ნივთი ნომერი 466, ნაპოვნი ნივთი ნომ. 3713, რკინის ბოჭკები ფასდადებით ნომერი 36183, მარილი, ქერი და ხის ნახშირი აქტით ნომ. 62, ნაპოვნი ნივთები ნომერი 113—სიმინდი, ნომ. 124—ტანისამოსი მველი, ნომერი 685—ლობიო, ნომერი 676—ხორბალი და ქერი და ნომერი 334—საშინაო ნივთები.

სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, კრუზენშტეინის ქუჩა № 4.
ნებადართულია ლიტერატურის და გამომცემლობის მთავ. მართველობის მიერ № 944 ტირაჟი 1500.